

ქვეყნის დღე

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო



საქართველოს საბჭოთაო საზოგადოებრივი საბჭოთაო



ბედნიერთა შორის ბედნიერი ხარ მაისო, თვეთა შორის, ამოსარჩევი ხარ, როგორც ყვავილთა შორის ვარდი, მდინარეთა შორის წყარო, და ფრინველთა შორის ბუღბული.

შინაარსიანი ხარ, როგორც წიგნთა შორის ვეფხისტყაოსანი, როგორც ხალხთა შორის გენიოსნი.

ძლიერი ხარ, როგორც მნათობთა შორის მზე, როგორც ნადირთა შორის ლომი.

ლამაზი ხარ, როგორც ფრინველთა შორის ფარშავანგი, დროთა შორის გაზაფხული და ცხოველთა თვალებს შორის შელის თვალები.

შენ ხომ მაშინ გერგო ბედნიერება, როცა მილიონობით მუშათა მოხრბილი წელი გაიმართა, როცა ბოლშე-ვარამით სავსე გული გამხიარულდა, როცა შენთან იზეიმა მუშათა კლასმა თავისი დიდი გამარჯვების აღსანიშნავი დღე—პირველი მაისი.

ხოლო დღეს, მუ მაისს უბედნიერესი ხარ, როცა კვლავ შენს ჭერქვეშ ზეიმობენ დიდ ომში გამარჯვებული ხალხები, როცა შენს ლამაზ ჭერქვეშ აღიმართა გამარჯვების უძღვეველი დროშები.

განა ბედნიერი ნატურის ბედნიერი სინამდვილე არ არის მასპინძლობა დიდ ომში გამარჯვებულ უამრავ შვილთა?

განა მუ მაისი შენ არეზე აღმართული ბედნიერი მიჯნა არ არის, ომსა და მშვიდობიანობას შორის, ადამიანების სასიკვდილო გმინვასა და სიცოცხლის სიმღერას შორის, განა მუ მაისი არ არის ორი ბრწყინვალე სიტყვის ბუდე, ორადორი სიტყვისა, მაგრამ მრავლის მოქმედი შინაარსიანი სიტყვის.

ეს ორი სიტყვა, ვრცელ ქვეყნებს რომ გადასწვდენია, ეს თორმეტი ასო, სიცოცხლით რომ თამაშობს ყველას ბაგეზე.

ომი დამთავრდა! აი ის ორი ბრწყინვალე სიტყვა, აი, ის თორმეტი ასოს თორმეტი ფერადი შუშხუნა ცად რომ ატყორცნილა ყველას სასიამოდ.

სიხარულის თვე ხარ და ბედნიერი, შენ, მაისო!

ბ. ჩაქალიძე





ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მინისტრისა
1946 წლის 9 მაისს № 11 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელს და წითელფლოტელს, სერჟანტს და ჯემდებელს! ამხანაგო ოპიცკებს, ბენეკებს და აღმორაგებლებს!

საბჭოთა კავშირის მშრომელნი!
დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ პირველ წლისთავს ჩვენი ხალხის დიადი ბამარჯვებისს უაზრებულ ბერკანიაზე, რომელმაც ხელეწიფა ჩვენი საშრობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ საშრობლო-სახალსო წვიმის დღეს—ბერკანის უაზრებულ ბამარჯვების დღესასწაულს.

ბამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ: დღეს, 9 მაისს, ჩვენი საშრობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლვოვში, კენიგსბერგში და გვირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სემსტროვოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუბი ოცდაათი საკრტილერიო ჯალკით.

დიდება ჩვენს უზენაესულ ქალებს, რომლებმაც დიცვეს ჩვენი საშრობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა და მოიგოვეს ბამარჯვება ვიტლერულ ბერკანიაზე!

დიდება საკავშირო კომუნისტურ პარტიას—ჩვენი ბამარჯვებების სულიწარმდებელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, ბამარჯვებულ ხალხს! სამარადისო დიდება გვირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი საშრობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მინისტრი
საბჭოთა კავშირის ბენეკალისიფსი
ი. სვალინი**

4130

ჩვენს



ბიბლიოთეკის
წიგნი № 4130

გამარჯვების სახსოვრად

შარშან ნერვი მაჩუქეს
სოფელ კავთისსევიდან,
ნიაფს ჯიბრძი ჩაუდგა
შრიალით და რხევითა.

ჩემს ეზოში ვახარე,
ვუვლით მე და თამარი,
წელს ნაყოფიც დაისხა,—
საუცსორო რამ არი!

ძისი ფოთლის წინწკალი
კანთიადის ფერია,—
ჩვენს ჩიტუნებს არასდროს
ასე არ უძღვრიათ!

დღე და ღამე შრიალებს
სე ზურმუხტით ნაქარვი,—
გამარჯვების სახსოვრად
„მ ძისი“ დაუარქვი!

მ. შიშკარი





თბილისი


პიონერთა სასახლე—ამხ. ე. ვ. აგლაძეს

მსურავალად ვულოცავ თბილისის პიონერებსა და მოსწავლეებს საბჭოთა ბავშვების კულტურისა და გონივრული დასვენების ძირის— პიონერთა სასახლის 5 წლისთავს.

ბისუიკვებთ, რომ პიონერთა სასახლე კვლავაც ჯადიღეს ჩვენს საბჭოთა ბავშვებს საფორბლოსა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულიკვეთებით, ეხმარებოდეს ბავშვებს მიღწიონ საუბეთესო მაჩვენებლებს სწავლაში, უმეოქმედაბი უსინციბატივას უღვიძებდეს პიონერებსა და მოსწავლეებს და ამით ხელს უწყობდეს კომუნისმის [მხენებელთახალი]თარბის მომზადების საქმის.




ლავრენტი ბერიძე

მოსკოვი, 1946 წლის 2 მაისი.





ღაერენტი ჰავდეს-ძე ბერისა
სახელობის თბილისის პილ-
ნერთა და ოქტომბრელთა სა-
სახლის წრეების მუშაობა
ფოტოდილუსტრაციებში.






სურათი

ცა თავზე გვაფრქვევს ლალს და საფირონს,
 ბალში ვარდების შრიალებს ფარჩა,
 სივრცეს უნისლოს და უნაპიროს
 სასიქადულო ამღერებს გარჯა!
 შრიალა ხეს და ჩუხჩუხა წყაროს
 ხატავს მზის ფუნჯი ნაზი ფერებით,
 ომგადახდილი სამშობლო ხარობს,
 ჰქუხს გმირთა კერა ასიმღერებით!
 ჩვენ ცხრა მაისის სინათლე გვმოსავს
 მახარობელი უკვდავი დილის,
 მზე ასხივოსნებს სტალინის დროშას
 და ცისარტყელა დაჰყურებს თბილისს!

პახანავ ძეგლაძე




9 მაისი

—ჩვენ გავიმარჯვეთ!—გაისმის ხმები—
 ძღვევამოსილი დამთავრდა ბრძოლა!
 გუგუნებს ქუჩა და მოედნები:
 მტერი დამარცხდა და ჩაიქოლა.

დღეს ზეიშია, ცამ იკაშკაშა,
 დროშებს მოარხევს ათასის ხელი,
 ქარიშხალივით გუგუნებს ვაშა!
 ვაშა! ვინც არის ამ დროშის მცველი!

ჭ. სურგულაძე





ბერლინის გამხობა

ეს იყო ერთი წლის წინათ... 1945 წლის 2 მაისს, სრულ 15 საათზე მოსკოვის დროით ბერლინის გარნიზონმა შესწყვიტა წინააღმდეგობა და იარაღ-აყრილი დანებდა წითელი არმიის ნაწილებს.

1945 წლის 2 მაისს აღსრულდა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წაღილი... ამ დღეს მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის ალმები—ბერლინს აფრიალდნენ! ორი დღით ადრე, 1945 წლის 30 აპრილს, წითელმა არმიამ გამარჯვების ალაში აღმართა რაიხსტაგის შენობაზე...

რაიხსტაგისათვის ბრძოლებს მეტად გააფთრებული ხასიათი ჰქონდა. საბოლოოდ ამ შენობისათვის ბრძოლამ გადასწყვიტა ბერლინისა და შემდგომ მთელი გერმანიის ბედი...

აი, ერთ-ერთი საგულისხმო ეპიზოდი ამ ბრძოლებიდან:

ბრძოლა, რომელიც რაიხსტაგისათვის გაჩაღდა, დაიწყო მოლტკეს ხილთან მდინარე შპრევეზე. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა პოლკოვნიკ თედორე მათეს-ძე ზინჩენკოს ნაწილმა.


ლამით ჩვენმა მესანგრეებმა გასწმინდეს ხიდი ბარიკადებისაგან და გათენებისას ზინჩენკომ გადასწყვიტა მისი გადალახვა. დილითვე ჩვენმა ქვემეზებმა ცეცხლი დაუშინეს მდინარე შპრევეს გაღმა ნაპირზე ჩასაფრებულ მტერს. ჩვენი არტილერიის ცეცხლის მთავარი მიზანი იყო დანგრეული შენობებისაგან დამღვარ მტერის კორიანტელს ხილთან ხელოვნური საფარი შეექმნა. სწორედ ამ საფარით

ისარგებლა კაპიტან ნეუსტროევის ბატალიონმა, მტრისაგან უხილავად გაირბინა მოლტკეს ხიდი და გააფთრებული ბრძოლა გააჩაღა ერთ-ერთ შენობაში ჩასაფრებულ მტერთან. გერმანელების მთავარი ძალები ამ შენობის პირდაპირ—წითელ კორპუსში იყვნენ ჩასაფრებულნი... და ღამით მებრძოლები ამ შენობაშიც შეიჭრნენ... გაჩაღდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა... რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ კაპიტან ნეუსტროევის ქვეგანაყოფი მიწისქვეშა გასასვლელების დახმარებით „სამეფო მოედანზე“ აღმოჩნდა...

...30 აპრილის განთიადისას მაიორი სოკოლოვსკი ნაწილის სამეთაურო პუნქტს ატყობინებდა:—ეხედავ რაიხსტაგს! დარჩა სამასიოდე მეტრი!

„სამეფო მოედანზე“ ჩასაფრებული მებრძოლები სეტყვასავით უშენდნენ ცეცხლს რაიხსტაგს... მათ ესმარებოდნენ ჩვენი ქვემეზები და ტანკები. სამხედრო სამინისტროს ფანჯრებიდან მტრის ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ, გერმანელები გაშმაგებით ისროდნენ ფაუსტ-ვახნებს, ნაღმებს...

მოედანი ყაყარებით მოქარგულ საგაზაფხულო მინდორს ემსგავსებოდა, ისე ბევრი დროშა იყო თავმოყრილი. ყოველი მხრიდან, ჩვენი სამხედრო ნაწილები წითელი ალმებით მიისწრაფვოდნენ რაიხსტაგისაკენ. ყველას სურდა პირველ რიგში აღეპართა გამარჯვების ალაში რაიხსტაგის შენობაზე.



...30 აპრილს სრულ 22 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით წითელი არმიის ნაწილებმა დაიწყეს რაიხსტაგის იერიში, რომელიც სამამულო ომის მატრიანეში შევიდა, როგორც სამხედრო ხელოვნების შედეგია...

ბერლინის მთავარი პროსპექტი—უენტერ დენ ლინდენი — რაიხსტაგის დასავლეთით უზარმაზარ ტირგარტენს ერთვის... სწორედ ამ ტირგარტენის სიღრმიდან ჩვენი პროსპექტორის სხივმა იწიათ... მან მიმოსინჯა რაიხსტაგის ახლომდებარე მიდამო, ბნელი, გაჭვარტლული რაიხსტაგის შენობა... თავდაპირველად ცისფერი სხივი მიმოველო რაიხსტაგის შესასვლელს, უმაღლ აირბინა კედელზე, რომელიც დაცხრილული იყო ჩვენი ქვემეხების ცეცხლით, შემდეგ ნელ-ნელა იწყო ასვლა სვეტზე, შენობის სახურავისაკენ... და იქ დიდხანს შეჩერდა... ამ დროს ჩვენი მეზობლები გაცეცხისაგან სახტად დარჩნენ...

...რაიხსტაგის სახურავზე გაზაფხულის ნელი სიო ნაზად არხევდა უზარმაზარ წითელ ალამს... ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სიო წითელ დროშას ეაღვრებოდა... მაგრამ რაიხსტაგი კვლავ გერმანელების ხელში იყო... ყველას სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხათ კითხვა — ვინ დასცინა ასე სასტიკად მტერს? ვინ აღმართა გამარჯვების ალამი რაიხსტაგის შენობაზე, რომელიც ჯერ ისევ გერმანელების ხელში იყო?

სულ მალე პოლკოვნიკმა ზინჩენკომ გაიგო, რომ წითელი ალამი რაიხსტაგზე აღმართეს მისმა მამაცმა მეზობლებმა: კომკავშირელმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველი ხალხის საამაყო შვილმა მელიტონ ვარლამის-ძე ქანთარიაძემ.


თურმე ისინი დაბინდებდნენ შეპარულიყვნენ რაიხსტაგში, გარე კიბით ასულიყვნენ სახურავზე, სადაც ჩვენს ვაზნებს ბათქა-ბუთქი გაჰქონდათ, იქ აღმართათ ალამი და ფოტოსებით მოედანზე გავლით დაბრუნებულიყვნენ ქვეგანაყოფში. რაიხსტაგზე აღმართულმა წითელმა ალამმა ახალი აღტყინება გამოიწვია ჩვენ მეზობლთა შორის, უფრო აღაფრთოვანა ისინი და წითელარმიელები მედგრად ეკვეთნენ რაიხსტაგში ჩასაფრებულ ჰიტლერელებს. ამ დროს გაისმა მაიორ სოკოლოვსკის რიხინი სმა: „ამხანაგებო, ხვალ 1 მაისია! გავახაროთ ამხანაგი სტალინი საჩუქრით—შევიტყრეთ რაიხსტაგში!“ ვილაცამ ჰიბნი შემოსძახა და ყველა რაიხსტაგისაკენ გაიჭრა იერიშით...

1 მაისს გათენებისას რაიხსტაგი საინტე-

რესო სანახაობას წარმოადგენდა... მთელი შენობა თითქოს საზეიმოდ იყო მორთული უამრავი წითელი ალმით... რაიხსტაგის ისევ გერმანელების ხელთ იყო...

რაიხსტაგისათვის ბრძოლები სულ უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებდა. ჰიტლერელები მიწისქვეშ—სარდაფებში ჩასაფრებულებიყვნენ და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენებს.

1 მაისს რაიხსტაგში ბრძოლამ 12 საათს გასტანა. ნეუსტროვერისა და დავიდოვის ბატალიონებმა მთლიანად დაიკავეს პირველი სართული, ამოკეტეს ყველა ჩასასვლელი სარდაფებში, მოულოდნელად აიჭრნენ მეორე სართულზე და მტერს მუხრას ავლებდნენ. საღამოჯამს ჰიტლერელებმა სარდაფებიდან თეთრი ბაირალი გამოჰკიდეს... ბრძოლა დროებით შეწყდა... გერმანელებმა მოლაპარაკება ითხოვეს... დივიზიამ ეს პასუხსაგები საქმე მაიორ სოკოლოვსკის დაავალა. იგი ჩავიდა სარდაფში, შეხვდა იქ რაიხსტაგის კომენდანტს—გერმანელ კაპიტანს. აქ, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:



პარკი ტირგარტენი და „გამარჯვების სვეტი“

— ჩვენ მზადა ვართ ამოვიდეთ სარდაფებიდან, მხოლოდ ერთი პირობით...
— როგორია ეს პირობა?—შეეკითხა მაიორი სოკოლოვსკი...

— თქვენ უნდა იარაღი აიყაროთ, — ქედმაღლურად უპასუხა გერმანელმა ოფიცერმა.

— ჩვენ, რის საფუძველზე? თქვენის აზრით, ვინ ვის უზის სარდაფში?

— თქვენ ტაქტიკური უპირატესობა გაქვთ, — მე კი ძალა მაქვს, — უპასუხა გერმანელმა, — თქვენ შემოიჭერთ რაიხსტაგში, მაგრამ აქედან უკან ვერ წახვალთ. ჩვენ ცეცხლს ვუშენთ მოედნის ყოველ მეტრს.

— ჩვენ არ ვაპირებთ წასვლას. ჩვენი დიდი მხედართმთავარი სუფოროვი ლაპარაკობდა: „ომობენ არა რაოდენობით, არამედ მოხერხებით“. მე მომხრე ვარ ომის დროს ამ პრინციპისა.

— მე ცოტათი წამიკითხავს თქვენი სუფოროვი, — უპასუხა გერმანელმა. მაგრამ უფრო მომწონს ჩვენი მოლტკე. იგი სწერდა: „ომში გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს“.

— თქვენთვის ეგ უფრო ნათელი უნდა იყოს. მაგრამ, ჩემის აზრით, ამჯერად თქვენი მოლტკე ცუდ მდგომარეობაში ჩაგაგდებთ და საქმოდ გაგაბრიყვებთ.

— თქვენ ტყუილად ლაპარაკობთ ასე. ახლა თქვენა ხართ ჩემს ხელთ, და არა მე. მე შემძლია არ გაგიშვათ სარდაფიდან.

— წარმოშობით სადაური ხართ, კაპიტანო?

— ბერლინიდან!

— მე კი მოსკოვიდანა ვარ! დღესდღეობით მოსკოვია ბერლინი და არა პირიქით. რას მოიგებთ, მე თუ მომკლავთ? სულ ერთია თქვენ ვერ გამოხვალთ სარდაფიდან. მაგრამ მაშინ იქ — ხემათ ჩემი მეტროქოლებისაგან ნუ ელით დანდობას, — დაამთავრა. მაიორმა სოკოლოვსკიმ.

ამით ლაპარაკი შეწყდა, პარლამენტის-

რები წავიდნენ. საომარი მოქმედება განა-
ლდა.

...როდესაც ცოცხლად გადაარჩინდა რაიხსტაგის გარნიზონის 1700 გერმანელი ჯარისკაცი იარაღყრილი მოედანზე ეწყობოდა, ჩვენმა სანიტრებმა ცეცხლმოდებულ რაიხსტაგის შენობიდან გაპოყვანეს დაჭრილი მაიორი სოკოლოვსკი. მან სთხოვა წაეყვანათ იგი ტყვეების მწყობრის გასწვრივ. ერთ ადგილს მაიორმა შეჩერება ბრძანა...

რაიხსტაგის ყოფილი კომენდანტი — გერმანელი კაპიტანი, რომელიც რაიხსტაგის ახალი კომენდანტის — პოლკოვნიკ ზინჩენკოს ნაწილს ხელთ ჩაუვარდა ტყვედ, სწორედ ამ ადგილს იღგა განაბული. გერმანელმა ოფიცერმა იცნო სოკოლოვსკი, მიუხედავად იმისა, რომ მაიორს თავი ჰქონდა შეხვეული.

სოკოლოვსკიმ მკაცრად შეხედა გერმანელ კაპიტანს და მისუსტებული ხმით მიმართა:

— აბა, რას იტყვით თქვენს მოლტკეზე? გამოდის, რომ სუფოროვი უფრო ძლიერია. თანახმა ხართ?


უნტერ დენ ლინდენი — „გამარჯვებათა ხეივანი“, თავისი სამოცი მეტრიანი განით ბერლინის ერთ-ერთ მთავარ პროსპექტს წარმოადგენს. ამ მაგისტრალს რაიხსტაგის მახლობლად სჭრის ბრანდენბურგის კარები.

1945 წლის 2 მაისს ბრანდენბურგის კარების გავლით, თავჩაქინდრულნი უსიტყვოდ მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ გერმანელ ჯარისკაცთა აურაცხელ ტყვეთა რიგები. მათზე მაისის ნელი სიო ნაზად არხევდა სამარცხვინო უსიტყვო კაპიტულაციის თეთრ ბაირაღებს.

ნიკოლოზ ჯაში



ბრანდენბურგის კარები და უნტერ დენ ლინდენი.



ღენინური სიტყვის ძაღა

ერთელ ვლადიმერ ილიას-ძეს შეეკითხნენ, თუ ყველაზე უფრო ნათლად რომელი კრება დაამახსოვრდა. ის დაფიქრდა და უპასუხა:

— რაღა თქმა უნდა, 1906 წლის 9 მაისის კრება, რომელიც პანინას სახლში შეატა.

იმ დროს ასე ეძახდნენ ლენინგრაღში ლიგოვსკის ქუჩაზე მდებარე სახლს, რომელშიც ახლა რკინიგზელთა კლუბია.

ლენინმა შეიტყო, რომ 9 მაისს იქ შეიკრიბებოდნენ მუშები, და გადასწყვიტა დასწრებოდა. ამ კრებაზე მას ამხანაგები წაპყენენ. სახლთან რომ მივიდნენ, ერთი მათგანი ჭიშკართან დაჩჩა, რათა ლენინი გაეფრთხილებინა, თუ პოლიციელი გამოიხრდებოდა, დანარჩენები ლენინთან ერთად სახლში შევიდნენ.

იქ, დიდ შენობაში, გრძელ სკამებზე ისხდნენ სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნიდან მოსული მუშები. სკამები შედარებით ცოტა იყო, ყველა ვერ მოთავსებულყო, ამიტომ ბევრი მათგანი ფეხზე იდგა კედლებთან, ზოგნი ფანჯრის თაროებზე ჩამომჯდარიყვნენ. და უსმენდნენ ვილაც წვერიან კაცს, რომელიც სიტყვას ამბობდა. მის გვერდით იდგა ლურჯმაუღდაღაფარებული მაგიდა, მაგიდასთან ისხდნენ ოთხნი... ლენინი მათ იცნობდა. ისინიც იცნობდნენ ლენინს, მაგრამ, საეჭვოა, რომ მათ დაენახათ მაშინ ლენინი, რადგანაც მას მაშინვე ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ ამხანაგები.

მაგიდასთან მსხდარი ადამიანები იყვნენ იმ პარტიების მეთაურები, რომლებიც იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს პარტიები მაშინ ცოტა როდი იყო. ზოგიერთი მათგანის სახელწოდება ხალხის მახსოვრობაში არც კი დაჩჩენილა.

იქ იყვნენ მენშევიკები, მათ შესახებ მუშები ხუმრობით ამბობდნენ: „მენშევიკები — მეუმტირესენი ისინი არიან, რომელთაც ხალხისათვის რაც შეიძლება მცირე სიკეთე ემეტებათ, ხოლო ბოლშევიკებს — მეუმ-

რაცლესეებს რაც შეიძლება მეტი, მრავალი სიკეთე სურთო ხალხისათვისო“.

იყვნენ სხვა პარტიებიც. მათ შესახებ ლაპარაკი არც ღირს. ისინი ზოგჯერ, როცა მაინცდამაინც დიდად საშიში არ იყო, შეფის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ, — თუმცა ამ წინააღმდეგობას უმთავრესად სიტყვით გამოხატავდნენ, უფრო კი იმისა ეშინოდათ, რომ მუშები ლენინის მხარეზე არ გადასულიყვნენ.

აი როგორი პარტიების მეთაურები ისხდნენ მუშების წინაშე.

ლენინმა მაშინვე მისწერა ბარათი: სიტყვის თქმის უფლებას შოითხოვდა. მაშინ ის კარპოვის გვერდით გამოდიდა ხოლმე, მაგრამ იმ კარპოვში ძნელი არ იყო ლენინის გამოცნობა. და ამიტომაც თვითთული მისი ასეთი გამოსვლა მოსალოდნელი იყო, რომ დაპატიმრებითა და ციხეში დამწყვდევით დამთავრებულიყო.

ამხანაგებმა იცნეს ვლადიმერ ულიანოვი.

— მასზე უკეთესად ვილა ილაპარაკებს.

— სულ ერთია გამოვა, — აჩურჩულდნენ ისინი და ლენინის ბარათი მაუღდადაფარებულ მაგიდაზე გადასცეს, სადაც მისი ოთხი მოწინააღმდეგე იჯდა, მეხუთე ხომ ფეხზე იდგა და სიტყვას ამბობდა. ორატორის აზრი რომ მუშებისათვის გასაგები ყოფილიყო, ის რაღაც არაკის მსგავსს უამბობდა მათ.

ლენინი სასტიკად გაბრაზდა. ის გააბრაზა ორატორის სიცრუემ, რომელსაც ასეთი გულდაჯერებით, გაუთვითცნობიერებლო ბავშვებისათვის საჭირო მანერებით უხატავდა მუშებს.

— ვითომ ვინ ჰგონია ამ ვაუბატონს მუშები! — ამბობდა ლენინი.

მის წინ კიდევ ოთხი მოლაყბე იყო. აი, ისინი, მაგიდასთან რომ ისხდნენ.

— მათი სიტყვებიც არაკის მსგავსი იქნება, გაიფიქრა ლენინმა.

მას მოუსვენრობა დაეტყო:



— არ მომცემენ ესენი სიტყვას... მო-
ლაყბე კი განაგრძობდა: „რასაკვირველია,
მეფის მარყუჟი, რომელიც ხალხს ყელზე
აქვს მოდებული, დიდი უბედურებაა, მაგ-
რამ ბოლშევიკები უფრო საშიშნი არიან“...

— არა, არ მომცემენ ესენი სიტყვას! —
გაიმეორა ვლადიმერ ილიას-ძემ.

თქვენი ბარათი გადავეცი, — უთხრა მას
ახალგაზრდა ბოლშევიკმა, რომელმაც მარ-
თლაც დასდო ლენინის ბარათი მაგიდაზე.

— მერე და გასინჯეს? — ცოცხლად შეე-
კითხა ლენინი.

ახალგაზრდა პირველად გააოცა ლენინის
ამ შეკითხვამ, რა იყო გასასინჯიო. შემ-
დეგ კი მიხვდა, სწრაფად დაიძრა ოთხეუ-
ლის მაგიდისაკენ და, როცა კარგა ახლოს
მივიდა, ჯერ ხმადაბლა, შემდეგ კი ხმა-
მალლა შესძახა:

— რატომ არ აძლევთ სიტყვას ამხანაგ
კარბოვს? ამხანაგმა კარბოვმა სიტყვა ით-
ხოვა!

დარბაზი ახმაურდა აქ-იქ გაისმა ხმები:

— სიტყვა ამხანაგ კარბოვს!

მაგიდასთან მსხდომნი შეინძრნენ და,
ეტყობოდათ, გადასწყვიტეს: „ჰა რა ვუ-
ყოთ, გამოვიდეს ეს ვიღაც კარბოვია და
ილაპარაკოს, მის შემდეგ ჩვენ ოთხნი კი-
დეგ მოვასწრებთ მუშების დათანხმებას
იმაზე, რომ იარაღი არ აიღონ ხელში“.

— და აი, ორატორის მაგიდასთან მივი-
და ლენინი. ის ფერმკრთალი იყო: ძალიან
ღელავდა. ლენინი პირველად მასზე ადრე
მოლაპარაკეს შეეჯახა იმის გამო, თუ რო-
გორ გაბედა მან მუშებთან ასეთი გაუბრა-
ლოებული ენით ლაპარაკი:

— ვითომც მუშები ისეთი ტლუნი არიან,
რომ თქვენს დიდ ნიჭსა და მცოდნეობას

ვერ შესწვდებიან! — შეუტია ლენინს ვლადიმერ ილიას-ძემ.

— მე შევეცდები ვილაპარაკო, — რომ აქ
სიტყვა ვლადიმერ ილიას-ძემ, — რომ აქ
შეჯდომ უკანათლებულეს ბატონებისათვი-
საც კი გასაგები იყოს ჩემი სიტყვები.

მუშებისათვის კი ყოველთვის გასაგები
იყო ლენინის სიტყვა და აზრი.

ლენინმა დაამთავრა თავისი სიტყვა. და
უცებ დარბაზში, ჯერ აქა-იქ, შემდეგ კი
ერთხმად გაისმა:

— ამხანაგო კარბოვ დაიხუროს კრება!
ლენინმა ხელები გაშალა ნიშნად იმისა:
„ჩემს ხელში ხომ არ არის ამის უფლებ-
ბაო!“.

— დაიხუროს, ამხანაგო კარბოვ! — იგ-
რილა კვლავ მთელმა დარბაზმა. მუშებს
უთუოდ უნდოდათ ეჩვენებინათ თუ რა
გაუთვითცნობიერებელიც იყვნენ ისინი:
გადასწყვიტეს, ბოლშევიკური სიტყვის წარ-
მოთქმის შემდეგ დაეხურათ კრება. ვინც
რევოლუციის წინააღმდეგია, მას სიტყვა
აღარ უნდა მიეცესო. ხმაური ძლიერდებო-
და.


— დროა, დახურე კრება, ამხანაგო კარ-
ბოვ! — ისევ შესძახეს. მაშინ ლენინმა ლი-
მილით სიტყვა:

— რას იზამ? ხალხი მოითხოვს... ვხუტრავ
კრებას!

ქვევით, დარბაზში კი უკვე კიაფობდა,
მეფის მთავრობისაგან აკრძალული, წითე-
ლი დროშა. მუშებმა შუაში ჩაიყენეს
ლენინი და სიმღერით: „ალსდექ, მშიერნო,
წამებულნო“ ქუჩაში გამოვიდნენ.

აი, როგორ დამთავრდა კრება, რომელ-
საც ლენინმა ყველაზე უფრო სამახსოვრო
უწოდა.





(ნამდვილი აზგავი)

შემოდგომაა. ფოთოლომეყვითლებული ხეები რტოებდალუწილია. აღამიანები აღარსად სჩანან, მიუტოვებით სასლკარი, სადღაც წასულან. ვისაც გაქცევა ვერ მოუსწრია, თავშესაფარში ზის, შიშით კანკალებს, გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავს. გარეთ საშინელებაა: ჰაერში თვითმფრინავებს გაბმული ზუზუნია, ვრიალებენ ქვემეხები, ყველგან სკდება ყუმბარები, ჩნდება უზარმაზარი ორმოები, ინგრევა სასლები. არეულად ისმის შაშხანებიდან სროლის ხმა, სივრცეში ელავენ წაღმსატყორცნები, რიტმულად კაკანებენ ტყვიამფრქვევები.

კიევის განაპირა უბანში, სადაც ტრამვაი უხვევს ორსართულიან სასლოთან, უყურადღებოდ ყრია დაჭრილდასოცილები. კორიანტელით განაცრისფერებულ წითელარმიელები ციცხლივით აბრიალებენ თვალეხს, ისინი ხან ერთ სასლს მოფეარებინ, ხან მეორეს, მოულოდინოდ ციცხლს ჟმენენ გამხეცებულ გერმანელებს. მორბიან მტრის ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, ჭუჩებში წაქცეულ დაჭრილებს დღეს უსწრავებენ.

ცოტა ხნით მანქანების რაზრასი შეწყდა, აღარც სროლის ხმა ისმის. დაბალი სასლიონიან ჩიურდივით გამოვიდა პატარა ბიჭი. შეშინებული კურდღლივით მიმოიხედა. კინესა შემოესმა. დააპირა იქით გაქცევა, მაგრამ იქიდან ბედავს, ეშინია კიდეც რომ ატყდეს სროლა.

— ბიჭიკო, მოდი ჩემთან!— შემოესმა ხმა.

ბავშვმა ახლა კი აღარ დააყოვნა, მაშინვე მიიზინა, ორი დაჭრილი წითელარმიელი დაინახა. ერთი ძალიან მაღალია, მეორე—დაბალი. სწორედ ეს დაბალი კვნესის,

ტანისამოსი სულ გასიასლიანებული აქვს. მაღალიც სისხლით არის დასვრილი, მაგრამ ყოჩაღად გამოიყურება. ბავშვმა პასუხის მაგიერ კვლავ შინ გაქცევა დააპირა. ეს რომ შენიშნა, მაღალმა მებრძოლმა მოფერებით უთხრა:

— ნუ ეგშინია, ბიჭიკო, მოდი ჩემთან, მოდი!

ბავშვი მიუახლოვდა.

— რატომ მიძახით?— შეეკითხა იგი.

— მე თუ მიცნობ?— ეკითხება წითელარმიელი.

— წითელარმიელი ხარ.

— მერე წითელარმიელის ეგშინია?!

— არა, ძია, წითელარმიელების არ მეშინია... გერმანელები დამინახვენ... მომიკლავენ.— ბავშვი სწრაფად უბასუხებს, თან შიშოდ დაჭრილ წითელარმიელს აღარ აზორებს თვალს. ატყობს უკანასკნელ დღეში რომ არის, თვალზე ცრემლიც აღვიდა, ფრხხილებით კაწრავს მიწას, მაგრამ მაინც იმედიანად ლაპარაკობს: „გერმანელო... წყიული გერმანელი... მან დაღუვრა ჩემი სისხლი, სიცოცხლე გამიმწარა, მაგრამ ჩვენები მობრუნდებიან, ჩემს სისხლს ერთი ათად აიღებენ“.

ბავშვს მომაკვდავმა დახმარება სურს, მაგრამ არ იცის როგორ უშველოს.

- შენ სკოლაში თუ დადიხარ?
- დავდიოდი.
- პიონერი ხარ?
- დიას.
- გვარი?
- კრავჩუკი.
- სახელი?
- კოსტია.

კოსტია, ყური მივდე, საიდუმლოს გაგან-
ლობ.

— მითხარი ძია, მითხარი, არავის არ
ვეტყვი.— შეჭვივცა კოსტიამ.

— ჩვენ სამშობლოს ვიცავთ, თქვენ ვი-
ცავთ. ეს ფიცით გვაქვს აღთქმული. არც
შენ უნდა გვილატო. ჩვენი ფიცი წმიდა-
თა-წმიდაა. ამ ფუთას ჩაგაბარებ. ამაში
პოლკის სიცოცხლეა გახვეული. შენ იცი,
რითი ცოცხლობს ადამიანი?

— გულით.— წამოიძახა კოსტიამ.

— აქაც ასეთი გულია გახვეული.

— გული?— გაიკვირვა კოსტიამ.

— რატომ გაიკვირდა? სწორედ გული,
გული, პოლკის საბრძოლო დროშა. თუ ეს
დროშა დაიკარგა, პოლკს ერთი კაციც რომ
არ აკლდეს, მაინც დაიშლება. კარგად შეი-
ნახე. ამაში ორი საბრძოლო დროშაა. დამა-
ლე! ჩვენების მოსვლამდე არ გამოაჩინო,
არავის უთხრა, არავის...— რამდენჯერმე
გაუბეორა.— ხომ გაიგე?— კვლავ შეეკითხა.

კოსტიამ შეფუთული დროშები გამოართ-
ვა და მტკიცედ უბაჟხა:



— არავის ვეტყვი, — ფუთა გულში ჩაიკ-
რა, მერე დაჭრილ მებრძოლს ჩუმად შეე-
კითხა, — თქვენ მართლა დაბრუნდებით?

— დავბრუნდებით, მამ, აუცილებლად
დავბრუნდებით. — დაარწმუნა წითელარ-
მიელმა. მერე უკანასკნელ წუთებში მყოფ
ამხანაგს მიეშველა, ააყენა და კოჭლობით
გავიდა ცხანე.

ფერმანელთა ტანკები კვლავ გამოჩნდნენ.
წითელარმიელმა დაჭრილი ამხანაგი ძირს
დაუშვა, ამოიღო გრანატი, ერთ-ერთ მეწი-
ნავე ტანკს სტყორცნა და გადააყირავა.

მეორე ტანკი ისევ ამ მამაცი მებრძოლი-
საკენ ვამოქანა, დაეწია და გასრულდა მის
მემ ძირს დავარდნილ მებრძოლს გადასურ-
ბინა. კოსტიამ თავისი თვალთ დაინახა წი-
თელარმიელთა თავგანწირვა, წაიღო დრო-
შები, მივარდნილ ადგილას დამალა. და
შემდეგ... ორი წლის მანძილზე ყოველდღე
ნახულობდა დროშებს. ის არც ბავშვებში
დადიოდა, აღარც ერთობოდა. დაეჭვიანე-
ბულმა დედამ რამდენჯერმე კიღევაც ჰკით-
ხა:

— რა ვაქვს დამალული?

— არაფერი.

— მაშ, სად დადიხარ ხოლმე?

— არსად.

— შეილო, ფრთხილად იყავი თორემ...

ფრთხილად იყო, მსჯერამ ვერმანელებმა
მაინც დაიჭირეს კოსტია და მისი ამხანაგე-
ბი. ისინი საქონლის ვაგონში შერევეს, მა-
ტარებელი ფერმანისაკენ გაემხეზა.

— რა დროს დამიჭირეს, გავიგე: მალე
კიევში წითელი არმია იქნებაო. — კოს-
ტიამ ყურში ჩასჩურჩულა ამხანაგს.

— თუ ეგ მართალია, ჩვენ აუცილებლად
მოგვკლავენ ფერმანელები. — უბაჟხა ამ-
ხანაგმა.

— ჩემს თავს არ ცდარდობ. მე უფრო
სხვა რამე მაწუხებს.

— შე არ მვეტყვი?

— არც შენ და არც სხვას.

კოსტია ტრიალებს ვაგონში, სულ უკან
ჩხედება. იქით რჩება სული და გული. მი-
ლის კარებთან, კვლავ უკან ბრუნდება, ვერ
ისვენებს ერთ ადგილას. ისევ კარებთან მი-
დის. მატარებელი მიჰქრის.

— შეიძლება ვერასოდეს ვეღარ ვნახოთ
ეს ნაცნობი ადგილები. — უთხრა მეგო-
ბარმა ბიჭმა კოსტიას.

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე აქ უნდა მოვ-
კვდე. — სთქვა კოსტიამ და მატარებლიდან
გადმოხტა.

ის მიწაზე დაენარცხა, კარგა შორის გა-
ხოსდა. მატარებელი გასცდა. ბავშვი ივანი
მოვიდა ახრზე, მატარებელი აღარ სჩანს,
ირგვლივ სიწყინარეა. კოსტია ნელა წამოდი-
და, ყველაფერი დამტვრეული აქვს, მაგრამ
არა გრძნობს ტკივილებს, ისევ კიევისაკენ
გაეშურა. დედა შინ ვერ ნახა. დიდი ხნის
ძებნის შემდეგ სადღაც ნათესავთან აღმოა-
ჩინა. რამდენიმე დღე დაჰყვეს იქ, მერე ქა-
ლაქიდან ფერმანელები იკარეკეს. კოსტია და
დედა მისი შინ წავიდნენ. სახლს რომ მიუახ-
ლოვდნენ, კოსტიამ დედას უთხრა:

— მე სხვაგან გავივლი, მალე მოვა.

— შეილო, კიღევ არ დაიკარგო.

— არა, დედი, აღარაფერის მეშინია, — უთხრა და წავიდა.

მას მართლაც არ დაუგვიანებია, რომ მოვიდა, ხელში ფუთა ეჭირა.

— ეგ რაღა მოიტანე? — შეეკითხა დედა.

— ამ ფუთაში ის არის, რაც შენ გაინტერესებდა. მაშინ თქმა არ შეიძლებოდა, ახლა კი თვითონ შეხედე! — გასხსნა და ორი წითელი დროშა ამოიღო.

— ეს სად იშოვე?

— წითელარმიელებმა ჩამაბარეს, როცა უკან იხევდნენ.

— ალბათ ამიტომ დაგიჭირეს გერმანელებმა.

— დამიჭირეს თორემ ძალიან კი წამიყვანეს.

მან დაქმუტუნული დროშები გაასწორა, შემდეგ ქალაქის კომენდანტთან გაიქცა. მივიდა მასთან და მოასხენა.

— აი, ორი დროშა... დაჭრილმა წითელ არმიელებმა გადამოძცეს, როცა ციციკი გერმანელებმა დაიპყრეს. ფიცით ჩამაბარეს არაფისთვის არ უნდა მეთქვა, არც გამიხელია. ისინი ტანცებმა ვასარისეს.

ხნიერმა კომენდანტმა ბავშვი ფულში ჩაიკრა, იმსურვალედ გადაკოცნა და მღელვარედ უთხრა:

— გმადლობ, პატარა გმირო!

ახლა კოსტია სუფოროვის სკოლაში სწავლობს. იქ ბევრი ბავშვი ატარებს მთავრობის ჯილდოებს — ორდენებსა და მედლებს, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო — წითელი დროშის ორდენი კოსტიას აქვს. როცა მას შეეკითხებიან ხოლმე, თუ რით დაიმსახურა ასეთი მაღალი ჯილდო, ის მოკლედ უპასუხებს:

— მე გადავარჩინე ორი საბრძოლო დროშა.



დიდი სამამულო ომის წლებში

ბრძოლას, 1942 წლის ზაფხულში, გერმანულ-ნი პრასნოდანს მიუახლოვდნენ, ინჟინერი იგნატოვი პარტიზანულ რაზმს ჩაუდგა სათაფრში. რაზმში ძალადის ინტელიგენცია შევიდა, მათთან იყვნენ აგრეთვე იგნატოვის ცოლი და ორი ვაჟიშვილი: ინჟინერი — ვნესტრუქოვი — უკვანი და მესტრუკოვი — გენია. იგნატოვის პარტიზანული რაზმის შერქმეული სასული იყო შავი.

უფრო სავიბრთ საცემ ჩაიღინა შავის რაზმში ძალად პრასნოდანის თუპაცისის პრტილში და ყველა ბოთლი თუპაცისის მესტრუკოვის დრთს თავგანწირვით მოქმედებდნენ მშვიდი იგნატოვი. ამიტომაც ჩაიჭრა მათი სასული დიდი სამამულო ომის სასულთან მაცვიანებში.

19,5 მილიონი მოსწავლე მუშაობდა, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში, საკოლმეურნეო მიწებზე. მათ 737 მილიონი შრომადღე გამოიმუშავეს.

საბჭოთა კავშირის * * * პიონერები აქტიურად ემზადებოდნენ კომკავშირელებს ჯარის შეგროვებაში, დიდი სამამულო ომის წლებში კომკავშირელებმა და პიონერებმა 7,769,280 ტონა ჯართი ჩააბარეს სახელმწიფოს.

ომის წლებში * * * პიონერებმა მოკრიფეს 240,784 ტონა სამკურნალო მცენარე. მრავალათას დაჭრილ მებრძოლს დაუბრუნეს სიცოცხლე პიონერების მიერ მოკრეფილი სამკურნალო მცენარეულობისგან დამზადებული წამლებით.

მილიონზე მეტმა * * * პიონერმა და მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კარტოფილის თხემის საუკეთესო მკრეფავზე გამოცხადებულ 1943-1944 წლების კონკურსში. მათ შეაგროვეს 42,074 ცენტნერი თხემი და 58 ათასი ტონა სახუჭი.



ვასილ ბარნოვი

(90 წელი დაბადებიდან)

ვასილ ბარნოვი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია ისტორიული ხასიათის მხატვრულ პროზას. მწერალმა დიდი ოსტატობით დაგვიხატა თავის ისტორიულ რომანებში საქართველოს შორეული წარსული, ქართველი ხალხის მდგრადი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მისი გმირები ვაჟკაცურად იცავენ სამშობლოს და საჭირო მომენტში ნამდვილი გმირული შეუპოვრობით სწირავენ თავს მის კეთილდღეობას. ვასილ ბარნოვმა თავის ცნობილ რომანებში: „მიძქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“, „ხაზართა სასძლო“ და „არმაზის მსხვერვა“, მთელი სიცხადით წარმოგვიდგინა წარსულში ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, მისი სასიცოცხლო ინტერესები.

ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში აგრეთვე წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიც. მწერალმა მშვენიერად დახატა ქალაქის ყოფა-ცხოვრება წიგნში „თბილისის აჩრდილები“.

ვასილ ბარნოვი დაიბადა 1856 წელს, სოფელ კოდაში, თბილისის მაგლობლად. მისი შორეული წინაპრები მესხეთის სოფელ ბარნავის მკვიდრნი ყოფილან. გვარი ბარნაველიც აქედან წარმოსდგა, ხოლო იგი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსული ზეგავლენით გადაკეთდა ბარნოვად.

წერა-კითხვა ვასილ ბარნოვს დედამ შეასწავლა მან თავიდანვე შეაყვარა თავის ვაჟს ხალხური შემოქმედება: ზღაპრები, თქმულებები, სიმღერები. ბარნოვი თავდაპირველად მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ 1878 წელს იგი შევიდა

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში საისტორიო ფაკულტეტზე. აკადემია დაამთავრა 1882 წელს. ამავე წლიდან ვასილ ბარნოვი განსწავლული იქნა სენაკის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანამემწედ. როცა, 1885 წელს, სემინარიის მოწაფე ლაღიმეიძემ იმოპყლა მადვარჯმელი რექტორი სუდუცვი, გაეფუძა სასტიკი რეჟიმი და ქართველი მასწავლებლები აღარ დასტოვეს სასწავლებელში. ამის შემდეგ ვასილ ბარნოვი ოცდახუთი წლის განმავლობაში იყო მასწავლებლად თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1911 წელს დაბრუნდა თბილისში და კვლავ დაინიშნა მასწავლებლად სემინარიაში. რევოლუციის შემდეგ ბარნოვი მასწავლებლობდა გიმნაზიაში. თავის ცხოვრების უკანასკნელ წლამდე მწერალს თავი არ დაუტუნებია სტრუაგოვიური საქმიანობისათვის. ახლაც ჩვენში ბევრს ახსოვს თავისი საყვარელი ოქრობირი მასწავლებელი.

1893 წელს „კვალში“ დაიბეჭდა მწერლის პირველი მოთხრობა „პატარა ლენა“.

ვასილ ბარნოვის შემოქმედების ლიტერატოვი სამშობლოს სიყვარულია, მისი სახელოვანი წარსულის, დედა-სამშობლოს ნათელი აწმყოსი და ბრწყინვალე მომავლის სიყვარული. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვასილ ბარნოვი შევიდა, როგორც დიდი შემოქმედი — მხატვარი ქართველი ერის წარსულისა. რომანში „გიორგი სააკაძე“ ანუ „განებების რკალი“ ვასილ ბარნოვმა გადმოგვცა მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველო და ცნობილი ფიგურა ამ ეპოქისა თვით გიორგი სააკაძე.

მსოფიანი მწერალი ვასილ ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წელს 4 ნოემბერს. ის მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდის პატივით დაკრძალა მთაწმინდის მწერალთა ქანთონში.

დავით შაგათაძე

მოგონება ძმაზე

(იროდიონ ევლოშვილის გარდაცვალების
35 წლისთავის ბავშვ)

იროდიონის ყრმობა-ჭაბუკობიდან ზოგი რამ მახსოვს, ზოგიც დედამისის ნაამბობიდან მაგონდება.

სოფელ ბოდბისხევში ჩვენი სახლი მთის ფერდობზე იდგა, მთის ზეგანზედ ეკლესია იყო, რომლის გვერდით საცალფეხო ბილიკი ასდევდა სიღნაღისაკენ.

იროდიონი მამის 14-15 წლისა იქნებოდა, საღდაც კარგი ჯიშის ლეკვი ეშოვნა და საგახებოდ უფლიდა.

— სანადირო ძალი უნდა გავზარდო.

აი, იროდიონი დილაადრიან ფერდობის ბილიკით სიღნაღის სკოლაში მიდის, მალეობი რომ ცოტაზე აიარა, უცებ თავისი პატარა ძალი გაახსენდა და იქიდან ჯალმოსძახა დერეფანში მოფუსფუსე დედას:

— დედი, თქვენ რომ პური სჭამოთ, მამა ლეკვსაც აჭამეთ, არ დაგავიწყდეთ. დედას გაეცინა და გასძახა:

— ჰო, ჰო, წადი შეილო! სკოლაში არ დაიგვიანო.

იროდიონი ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა.

ძველად, ეგრეთწოდებულ „ყველიერში“ საქანელობა იცოდნენ. ეს ამბავი ერთ კვირას გრძელდებოდა. სოფლის მთელი ახალგაზრდობა საქანელაზედ ერთობოდა. ხანდახან ხნიერებაც წაიხალისებდნენ. საქანელა ხის სწორი ტოტებისაგან კეთდებოდა, ამას რკალებისა და წნელების საშუალებით ჩამოაბამდნენ დიდ ხეზე, უფროა წმირად, კაკლის ხეზე. საქანელობამ ძალიან გატაცება იცოდა. მამინ იმაზე უკეთესი სპორტული მასობრივი ფასართობი არ არსებობდა სოფლად ბავშვებისათვის. „ყველიერში“ — საქანელობის დროს სამი დღით მაინც დაითხოვდნენ ხოლმე ბავშვებს სკოლიდან.

— იროდიონმა საქანელაზე ფეხი მოიტეხაო გამიგონია, დედისგან. გაძლიერდებოდა საქანელა, უცებ წნელები დააწყდებოდა, ან საფეხურის ჭინჭილაკი გამოსძვრებოდა და ძირს დასცემდა მოქანავეს. იროდიონი რომ საქანელიდან ჩამოვარდნილა, ფეხნადრძობი დიდხანს წოლილა. დედა ძლიერს აჩერებდა თურმე ცელქ ბიჭს ლოგინზე, ვიდრე არტახებით შეკრული ფეხი მოუჩრებოდა.




ბაგილინა
ხოსიგავშილი

იროდიონ ევლოშვილი სიჭაბუკეში.

როდესაც იროდიონი უკვე დიდი ვაჟკაცი იყო, მახსოვს მას კიდევ ეტყობოდა ხალხობი ფეხის დიდ თითთან კაი მოზრდილი კობიკი. ეს იყო ბუდიდან ამოვარდნილი ძვალი—მისი ბავშვური მოუსვენრობის ნიშანი.

ქალაქ სიღნაღში, სადაც იროდიონი პირველად სწავლობდა ბევრი სავაჭრო დუქანი იყო ქუჩებში მწკრივად, ერთ მცფერილმანე-მედღუტნეს ხითარას ეძახდნენ. ამასთან ყიდულობდნენ ჩვენები და ჩვენი უბნელებიც კევეს, ლილას, ჩიხტიკოპისათვის ქინძისთავეებს და სხვა წვრილძანს. ფული მაშინ ძხელე სამოვარი იყო. კვერცხები მიჰქონდათ ხოლმე სახლიდან წვრილძან სავაჭრო საქონელში გადასაცვლელათ. ხითარას ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ერთ ახალწელიწადს იროდიონმა უბნის გოგონები მოსწრებული ოხუნჯობით გაამწარა: და აი როგორც ფოჩიანი და სურათებიანი კანფეტის ცალიერ ქაღალდებში წვრილად დაჭრილი საპონი შეახვია და გოგონებს სთავაზობდა, — კვერცხებზე მოგყიდითო, გოგონებმაც კვერცხები მოურბენინეს, მაგრამ როდესაც ტკბილი კანფეტის მაგიერ მწარე საპონი იგემეს, გაბრაზებულემა ხითარა შეარქვეს მას.



ეს გააკეთეს ბავშვებმა



3

ტანია კომსოლმეიანსკაია

რამდენი ტანჯვა აუტანია, სახეზე სევდის კვალიც არ მოჩანს. კომკავშირელი გმირი ტანია თავს შემოეწვლო ოქტომბრის დროშას.

გმირულ ბრძოლებში გამოიცადა, ტანის სიმხნემ, სიმტკიცემ შობა. ის ჩვენი ქვეყნის სახელს იცავდა და აყვავებულ ახალგაზრდობას.



საბჭოთა კავშირის გმირი მატროსოვი

სამა კაპუსტინი

ეს ნორჩი პატრიოტი სახელოვანი მზევრავია. მტრის წინააღმდეგ გაბედული მოქმედებისათვის და „მოენეს“ დაქვრისათვის ის დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.



ხარკოვის ოკუპაციის დღეებში, გერმანელებმა ქალაქში რამდენიმე დაწყებითი სკოლა გახსნეს. რასაკვირველია, მათ სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს ყოველივე საბჭოთა და შეიტანეს გერმანული სისაძაგლე. ერთი სიტყვით, ეს სკოლები ნამდვილი საპატიმროები იყო ბავშვებისათვის.

ერთხელ, რომელიღაც გერმანელმა მოხელემ გამოაცხადა ერთ-ერთი სკოლის დათვლიერების სურვილი. მას თავისი თვალთ სურდა ენახა თუ როგორ „გაიქვინდნენ“ უკრაინელი ბავშვები გერმანული სულსკვეთებით.

სკოლის დირექტორმა, რომელიც გერმანელთა სამსახურში იყო და ჩვენი ხალხი კი გაეყიდა, გადასწყვიტა გერმანელი მოხელის საამებლად მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა. ცოტა ენერჯის დახარჯვით დასჭირდა მას რომ გამოფენაზე მოტანილ მოწყვეთა ყველა ექსპონატს გერმანული სვასტიკა ჰქონოდა. მან კედლებზე გამოაკრა ფაშისტური ლოზუნგები.

მლიქვნელი დირექტორი სტუმრის მოსვლის წინ კიდევ შევიდა გამოფენის დარბაზში იმის სანახავად, ყველაფერი რიგზეა თუ არა? მაგრამ ის, რამდენიმე წუთის შემდეგ გაცოფებული გამოეარდა იქიდან.

დაწყებითი სკოლის უკრაინელ ბავშვებს გამოფენის დარბაზში მთელი გადატრიალება მოეხდინათ: გადაეხაზათ ყველა ექსპონატზე დაძალებით დახაზული გერმანული ნიშანი, ჩამოეხსნათ ფაშისტური ლოზუნგები და მათ ნაცვლად კედელზე გაეკრათ ლენინისა და სტალინის პორტრეტები, რომელთა გარშემო კიაფობდნენ წითელი ვარსკვლავები და დიდი ლამაზი ასოებით დაწერილი ლოზუნგი: „გაუმარჯოს წითელ არმიას!“

ანტონ კაბაღინი

— კურსკის ოლქის მიხაილოვკის რაიონის სოფელ მიხაილოვკის მცხოვრებია. როდესაც გერმანელებმა დაიპყრეს მისი მშობლიური სოფელი, ანტონი პარტიზანულ რაზმს ებრუნებოდა. ერთხელ ის პოლიციელებმა შეიპყრეს და ორიოლის ციხეში გაგზავნეს. რ თვეს აწვალდნენ პატარა ბიჭს ვერავი ფაშისტები, ჩამოხრჩობით ამინებდნენ, მაგრამ გულადმა ბიჭუნამ არ გასცა პარტიზანები.

— ანტონი ახლა თავის მშობლიურ მხარეშია. ის კურსკის სუფოროვის სახელობის სასწავლებელში სწავლობს.



ანტონ კაბაღინი

ყვარელ სამშობლოს

57 ნორჩი გვარდიელი

1942 წლის ივლისში გერმანულ-დამპყრობლებმა ეროშილოვგრადის ოლქის ქალაქ კრასნოდონის ოკუპაცია მოახდინეს. ოკუპაციის მიძიმე პირობებში ქალაქ კრასნოდონში შეიქმნა ფარული კომკავშირული ორგანიზაცია „ახალგაზრდა გვარდია“.

ამ ორგანიზაციის მიზანი იყო: შეუნელებელი, აქტიური ბრძოლა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ამ ორგანიზაციამ, თავისი არსებობის 6 თვის მანძილზე გამოიშვა და გაავრცელა 30 სხვადასხვა სახელწოდების ფურცელი, რომელთა ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარს აღემატებოდა.

ახალგაზრდა გვარდიელებმა 1942 წლის 6 ნოემბრის დამით, ქალაქის უმნიშვნელოვანეს შენობებზე აღმართეს წითელი დროშები და გააკრეს საბჭოთა ლოზუნგები. კრასნოდონ-როვენკის გზაზე, გერმანელებს დაატოვებინეს 500 სული საქონელი, რომელიც გერმანელებს მცხოვრებთათვის წაერთმიათ. ნორჩმა პარტიოტებმა გადასწვეს გერმანელთა შრომის ბირჟა—მოსპეს ყველა საბუთი და სიები და, ამით, გადაარჩინეს ათასობით საბჭოთა ადამიანი გერმანელთა მონობაში გარეკვას. ისინი აწყობდნენ ავარიებს მაღაროებში მწყობრიდან გამოჰყავდათ გერმანული მანქანები, ცეცხლს უკიდებდნენ გერმანიაში გასაგზავნად გამზადებულ პურს.

საშინელმა გამცემლობამ შესწყვიტა ეს საბრძოლო საქმიანობა. 57 ნორჩი გვარდიელი ფაშისტებმა აწამეს.

მათთან ერთად აწამეს კრასნოდონის ფარული კომკავშირული ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის“ ორგანიზატორი—**ოლეგ კოშევოი**.


იგორ ვოლკოვინსკი

— 14 წლის იბიტი იყო როდესაც ის მამასთან ერთად, სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში, შავი ზღვის სანაპიროზე მორდრეიფე მებრძოლ ტრანსპორტს შეესივნა. ომის წლებში 200-ზე მეტი რეისი გააკეთა იმ ტრანსპორტმა, რომელზეც იყო იგორვოლკოვინსკი. ტრანსპორტი სევასტოპოლისა და ოდესისათვის ბრძოლებში დაჭრილ მებრძოლთა ევაკუაციას აწარმოებდა.

იგორის მამა დაიღუპა ომში, თვით ის კი ეშვილა იგვარდიულ კრესიერს, რომელმაც იგორი დააღუპავს გადაარჩინა.



იგორ ვოლკოვინსკი



ოლეგ კოშევოი

შენს სურათს—ციურ შექით შეკობილს—გმირი ზოიას გვერდით ვათავსებ... შენ ერთი იყავ, მაგრამ გმირობით აღაფრთოვანებ დღესაც ათავსებ.

ვიგონებთ მტერთან შენს გმირულ ბრძოლებს და მეგდრად ჩაფთვალთ, არ გვინდა, არა! შენო სახელი, ძვირფასო ოლეგ, ამ ჩვენს გულებში იცოცხლებს მარად...



საბჭოთა კავშირის გმირი ჩაიბინა

კაზბეპ ფილაროვი

— დაჯილდოებულია მედლით „მაცობისათვის“ ეს ჯილდო მან დაიმსახურა იმით, რომ ის აქტიურად და შეუპოვრად ეხმარებოდა წითელ არმიას დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.





ჩვენი პიონერული ცხოვრება



კოლექცია



3 მაისს ბოტანიკის მასწავლებელმა დავალემა მოგვცა გაგვემეორებინა „მინდვრის ყვავილები“. ნასადილევს ოთარი მოვიდა ჩემთან. ეზოში გავშალეთ ქილო-

ბი და მეცადინეობა დავიწყეთ. ერთი საათიც კი არ გასულიყო, რომ ოთარმა კითხვა შემაწყვეტინა.

— ბიჭო, ზურა, ბებია ელისაბედი მიდის წისქვილში, მოდი მოვეხმაროთ! ბებია ელისაბედს მართლაც სიმინდის ტომარა გაედო მხარზე და თავისი განუყრელი ჯოხით მიიჩქაროდა ორღობეში.

— წავიდეთ და წიგნიც წავიღოთ!

ჩვენ სასწრაფოდ გამოვედევნეთ მოხუცს. ძალიან გვიყვარს ბებია ელისაბედი: მას ეზოში, ხომ ხილი არასოდეს დაიღევა. სულ გოგის ნამყენებია. გოგი დიდი ხანია ჯარშია შარშან წერილი ბერლინიდან მოიწერა. ბებია ელისაბედის უფროსი ვაჟი ინჟინერია, დიდ ქარხანას აშენებსო თბილისში. მარტოა ბებია ელისაბედი, და ჩვენ ხშირად ვშველით მას.

— ტომარა მოგვეცი, ბებია ელისაბედი, ჩვენ წავიღებთ!—დავასწარი ოთარს.

— თქვენ გაეზარდეთ, თქვენს მშობლებს!

დაველოცა ბებია ელისაბედმა.

შემდეგ ტომარა მოგვცა და თვითონ შინ დაბრუნდა,

ჩვენი სოფელი ლენაინდრავო ცხენისწყლის მახლობლიაა. წისქვილი ცხენისწყლიდან გამოყვანილ არხზეა. ბევრი უცდიდა ჯერს. ერთი საათი მაინც უნდა გველოდნა, ჯერი დავიკავეთ და გარეთ გამოვედით წისქვილის მინდორზე, რომელსაც ცხენისწყლის ვრცელი ქალები აკრავს.


დრო ტყუილად რომ არ დაგვეკარგა, ოთარს ვუთხარი:

— ოთარ, კოლექციისათვის ყვავილები დაგკრიფოთ!—ოთარი დამეთანხმა. მალე წითელი ყაყაჩოების, ყვითელი ქამელიებისა და რძიარძიას დიდი თაიგული შეგკარით.

წისქვილში რომ მივედით, ზაბუა თედო მეწისქვილემ სიმინდი დაფქვილი დაგვახვედრა. წამოვედით. ბებია ელისაბედი გავახარეთ. მოხუცი ალუჩით გავვიმასპინძლდა.

მეორე დღეს ჩვენმა ბოტანიკის მასწავლებელმა ყვავილების კოლექციის შედგენა მოგვიწონა და სხვებსაც ურჩია შეედგინათ ასეთი კოლექციები.

პიონერი ზურაბ ხაინდრაკი





ნთრ ავტოტა . შექოქმედება



გამარჯვების დღე

საქართველოს მთა და ველად
რა სიმღერა მოფენილა:
ძლივამოსილ დროშას ანთებს
ცრხა მაისის ტკბილი დილა.
აღარ გვაწვიმს სისხლის წვიმა
და გამშრალა თვალზე ცრემლი.

და მშვიდობის ნათელ ციდან
დაგვციმციმებს თავზე კრემლი!
ეს რა დილა გაგვიოთენდა,
ეს რა დილას მოვესწარიით...
იკოცხლეთ და ილდეგრძელეთ
ბერიავ და ძია სტალინი!

მოსწავლე არჩილ ბედლიძე
თეთრიწყარო.

შურისძიება

(ამბავი)



ოვდა, ველზე გაეშალა
ლაშქრს შავი ფრთები
და ღრუბლებთან, ბაასობდნენ
თეთრნაბადა მთები.

სიო მინდვრად ფარფატებდა
ფრთამალაღი და ლალი.
სოფლის ბოლოს ცისქვეშ იწვა
ნატყვიარი ბალი.
— ნეტავ დედამ რად დასტოვა
ბავშვი ობლად გმინავს,
იქნებ კვალი აერია!..
თოვლი სცვივა, ყინაფს...
ათოვს ველებს, ათოვს გორებს
და ბიჭუნას ათოვს,
სდუმს საბრალო, თითქოს თოვლიც
საბანივით ათბობს.

ჩემო კარგო, ჩემო ბიჭო,
თოვლში წოლა გავნებს! —
შორით მთებში იფერფლებს
ზამთრის მკაცრი ლაშქ.
მაღე ასე ზეცის ტატნობს
ცისკრის შუქი დაჰკრავს —
შენ არ იძვრი თოვლში წევხარ,
ქარი გირწევს აკვანს.
ოცნებაში ხედავ დედას,
მის მშობლიურ თვალებს;
თითქოს ხედავ მის სახეზე
მწუხარების ღარებს.
სად წავიდა? რად დაგტოვა!
სიკვდილისგან გიხსნას.

ევედრები: მომეშველე,
დედი შენთან მიხდა!
— შენ აქ წევხარ ღია ცისქვეშ
კვნესას ატან ნიაფს,
მტერი ბავშვიც არ დაგინდო
დაგახალა ტყვია.
ცივი თოვლი საბნად მოგცა,
თვითონ ჰპოვა ბინა —
მთვრალს, გაღეშილს ახლა
მშვიდად

შენს საწოლში სძინავს.
სძინავს ვერავს. იქვე თავთან
მისი ხმალი ელავს;
სძინავს უცხოს, გადამთიელს
და არ სძინავს დედას.
თითქოს ვიღაც ჩასჩურჩულებს:
რას მოგიტანს ცრემლი.
შენივ მტერი სახლში გიწევს
შენი შვილის მკვლელი,
აი ხმალიც ნუ შედრკები
გამოჰლადრე ყელი.
დაწედა ხმალს და ძალადმოსულს
დააძგერა გულთან,
ბილწი სისხლი დაიღვარა
შეწყდა შმაგი სუნთქვა.

ჯანსუღ ნიჰაბაძე

აბაშის მეორე ვაჟთა საშუალო
სკოლის მოსწავლე.



(ეპოპური თქმულება)

ოდესღაც ქვეყანაზე ცხოვრობდა მხატვარი კიმი, რომელიც მშვენივრად ხატავდა: მაგალითად, მას ისეთი ოსტატობით ჰქონდა დახატული გაჭენებული ცხენი, რომ გეგონებოდათ ცოცხალია და საქცაა თვალთაგან მიიმალებაო.

მხატვარმა ფანიზრასა ისეთი სურათი დაეხატა, რომელიც ბედნიერებას სიანსიჭებდა მთელ მის ერს. ამ ფიქრის დროს მას ძილში გამოეცხადა მოხუცი. მოხუცს სახე და თმა ვერცხლივით თეთრი ჰქონდა.

— მე ვიცი შენი ფანზრასვა, — უთხრა მოხუცმა მხატვარს, — ასეთი სურათის დახატვა შეიძლება, მაგრამ იგი შენ სიცოცხლედ დაგიჯდება.

— თანახმა ვარ, — უპასუხა მხატვარმა.

— მაშ მე გასწავლი, როგორ მოიქცე: ცის შუა პატარა მდინარეა, მხოლოდ გამოცდილ თვალს შეუძლია დაინახოს იგი და ისიც ღამით. ყოველთვის, როგორც კი დაღამდება, გამოდი მინდვრად, წამოწევი აი ასე მხარზე, აი ასე გადაიხსნიქე და უძრავად უყურე ცას. მრავალი ღამე გაივლის სანამ შეეჩვეოდე ცის მდინარის გარჩევას.

როგორც მოხუცმა ასწავლა, ისე მოიქცა მხატვარი. დაღამდებოდა თუ არა, მიდიოდა მინდორში, წვებოდა, როგორც უბრძანა მოხუცმა და შეჰყურებდა ცას. ტანი ებრუნებოდა უხერხული წოლით, ეძინებოდა, თვალს ნისლი ეფარებოდა, მაგრამ კიმი უყურებდა და უყურებდა ცას. პირველად მხოლოდ იმას ამჩნევდა, რასაც ყველა ხედავს — ლურჯ ცას და მოკაშკაშე ვარსკვლავებს; შერე კი მეტი დაინახა: მუქი, თითქოს მუქწითელი სინათლე. ცის სილურჯე კი უფრო და უფრო იღებოდა, და მან გაარჩია ნახად მოელვარე მტრედისფერი,



რი, თითქმის თეთრი, ოდნავ მოძრავი ზოლი, აი ეს იყო ცის მდინარე. ანკარა ცას იქით მან დაინახა ოკომანტეს*) ბალი და სასახლე; დაინახა ცის მცხოვრებნი და ციური დღის სინათლე. ეს სინათლე იყო, ცას რომ წითლად გადაჰვენოდა. მხატვარი სულ უყურებდა და სხვადასხვა საგნებს არჩევდა: დაინახა ცის მდინარეები, თევზები და ერთხელ შეხედა გადახსნილ წიგნს ბედისწერისას და ამოიკითხა, თუ რაში იყო ყურეის ბედნიერება. იმ ღამის შემდეგ დილით მხატვარი მკვდარი იპოვეს. ის მოკვდა სისუსტისა და დაქანცვისაგან.

მიცვალებული იმავე მდგომარეობაში იყო როგორც თეთრმა მოხუცმა უბრძანა.

*) ოკომანტე ყურეილთა ღმერთია.

იქვე იღო მისი ნახატი, ვერაფერს გაიგებდა კაცი იმ ნახატისას. საღებავი ისეთი ნაზი იყო, რომ ერთი საზის მეტს ვერაფერს გაარჩევდა კაცა. იფიქრეს, ილაპარაკეს თუ რა ექნათ ნახატისათვის და მერე ხელმწიფის ბრძანებით სალაროში შეინახეს.

ჩინელები ყურეილებზე უფრო ჭკვიანი გამოდგნენ. ისინი მივიდნენ ყურეთის ხელწიფესთან და ათხოვეს ნახატი მოგვიღეო.

— ნახატი არაფრად არ ღირს—უთხრეს ვერებმა ხელმწიფეს — ფული კი გვიჭირს ამიტომ გავყვიდით ნახატიო.

ნახატი მიჰყიდეს ჩინელებს საში ათას ლიანად. ქრთამად კი ჩინელებმა ას ოცდაათი ათასი ლიანი დახარჯეს.

როცა ჩინელებმა, როგორც იყო, მიიღეს ნახატი, ყურეილებმა ჰკითხეს მათ:

— რად ღინდათ ეს ნახატი, აქ ხომ მხოლოდ ერთი საზი აქვს გავლებული?

მაშინ ჩინელებმა მითითხვეს ოქროს ანკესი. როცა ჭიანჭოცმული ანკესი ნახატს მიუახლოვეს, ნახატიდან ამოხტა ცოცხალი კარჩხანა.

— ესლა გესმით, რა ნახატია ეს ნახატი? — ჰკითხეს ჩინელებმა — ეს ცის მდინარეა და მასში ზედნიერებაა მისთვის, ვისაც იგი ეკუთვნის.



ნახატი ჩინეთის ბოგდისხანს წაუღეს. ახლაც იქაა ეს ნახატი.

მას მერე ჩინელები ამალდნენ, ყურეელები კი დაეცნენ.



დ ე დ ი ს ა დ მ ი

ღღეს დავბრუნდი ომგადახდილი...

როცა ჩვენს პატარა ოთახში შევედი და ნათურა ავანთე, კედლიდან შენი აჩრდილი წამოფრინდა და ჩემს გულში შეჩერდა...

მე გამახსენდა ჩემი ბავშვობა...

აქ, ამ პატარა ოთახში დავბორიალობდი ახლად ფეხადგმული...

დაუსრულებლივ ვტიკტიკებდი გაუგებარ სიტყვებს...

ზოგჯერ კაბაზე წაგეტანებოდი და მოგდევდი შენ, საყვარელო დედა!..

მე მასწავლეს, როცა დილის მზის სხივები შემოფრინდებოდნენ ღია ფანჯარაში

და ჩემს ლოჯინზე აცეკვდებოდნენ; შენ ფეხსაყრეფით მომიხალწოვდებოდი და ფრთხილად დამკოცნიდი...

სასეირნოდ დაგყავდი ბაღში...

იქ ბუფრი ყვავილი იყო...

თამაშობით დაღლილი შენსკენ მოვბობდი, რომ დასასვენებლად შენ ტყბილ უბეს მიეხუტებოდი.

მაშინ ფრთხილად მომხვევდი ხელემა და სამშობლოზე მიამბობდი... სულგანაბული გისმენდი.

და ჩემს სულს ისე ექარგებოდა სამშობლო, როგორც მზის სხივი სულ პატარა, პატარა ყვავილს...

ჩემო დედა!
მაგონდება ის საშინელი წუთიც, როცა
უხმოდ იწეპი სარეცელზე და სიკვდილს
ებრძოდი.

ხალხი ირეოდა ჩვენს პატარა ოთახში.
ქალები ტიროდნენ.

და ვტიროდი მეც.

შენ დანანებით გადმომხედე, —

ამ თვალებში იძირებოდა ჩემი გული...

ექვთინებდი და ვწყევლიდი ბედს, რომ
არ შემეძლო მეშველა შენთვის... შენ მოუ-
სყენრობდი...

ბოლოს აცახცახებული ტუჩებით რამ-
ღენჯერმე მაკოცე და ძლივს გასაგონად მი-
ახსარი:

— „ყოჩაღად იყავი შვილო!.. რა ვუყოთ,
რომ დედა აღარ შეყოლება“...

— „ოჯახი არ გააცივო!“..

— „გაცივარდეს შენი ხალხი!.. შენი სამ-
შობლო!“..

ეს იყო უკანასკნელი საიტყევები, რომლე-
ბიც შენგან გავიგონე... მას შემდეგ დიდი
დრო გავიდა.

ჩვენს მიწაზე შავი ურდო შემოიჭრა და
სიკვდილის ცეცხლი დაანთო... **უკანასკნელი**
მაშინ შენი ღვთაება შემეძინა... **მეშველა**
გულში და მომიწოდა:

— „სამშობლო გადაარჩინე, შვილო ჩე-
მო!“

— „შენი კერა გადაარჩინე!“

— „მტერი არ ვაახარო მამულში!“..

ჩემო დედა!

შენ ხომ სულ ოცნებობდი, როდეს ვიქ-
ნებოდი დიდი, და საყვარელ დედას საჩუქ-
რებს მოგიტანდი...

მე დიდი ვარ.

დღეს დაებრუნდი ომგადახდილი

და მოგიტანე საჩუქარი, —

მე გადავარჩინე ჩემი კერა.

გავიმარჯვე სამშობლოსათვის ბრძოლა-
ში...

აი, შენდამი საჩუქარი,

ჩემო დედა!..

3030 ვარდოსანიძე

აკადემიკოსი ნიკო კახხოველი




(I თავი წიგნიდან „მთა და ბარში“)

ამერიკის აღმოჩენამდე მსოფლიოში
კაუჩუკზე არავითარი წარმოდგენა არა
ჰქონდათ. როდესაც ამერიკის ნაპირებს
კოლუმბის ზომალდები მიადგნენ და მოგ-
ზაურნი ნაპირზე გადავიდნენ, მათ ადგი-
ლობრივ მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო
საგნებს შორის აღმოაჩინეს რაღაც შავი
ნივთიერებისაგან გაკეთებული ჭურჭლეუ-
ლი. მათ ისიც გაიგეს, რომ ამ ნივთებს ხის
წვენიდან აკეთებდნენ. კოლუმბის ექსპე-
დიციამ ისინი ევროპაში ჩამოიტანა და მუ-
ზეუმს გადასცა.

1795 წელს ფრანგმა მეცნიერმა ლა კონ-
დამინმა იმოგზაურა ამერიკაში და, სხვათა-

შორის, ყურადღება მიაქცია სწორედ იმ
შავი ნივთიერებისაგან გაკეთებულ ჭურჭ-
ლეულს, რომელიც პირველად კოლუმბმა
ჩამოიტანა ევროპაში. ლა კონდამინმა შეი-
სწავლა ეს საკითხი და დარწმუნდა, რომ
ამ ნივთებს ამერიკის მცხოვრებნი აკეთე-
ბენ ერთი ხის წვენიდან, რომელსაც ად-
გილობრივი მცხოვრებნი ჰევეს უწოდებ-
დნენ (ახლა ამ ხეს მეცნიერულად Hevea
ეწოდება). ამ ხის კანს, როდესაც გას-
ჭრიან, ჭრილობიდან თეთრი წვენი გამო-
დის, ხე იტრემლება; სწორედ ამიტომ
დაარქვეს ამ მცენარეს კაუჩუკი, რაც მა-



შინდელ ამერიკის მცხოვრებთა ენაზე ხის ცრემლს ნიშნავდა.

ამ წვეწვანსაგან, რომელიც ჰაერზე მალე მაგრდება და ცომივით იზილებოდა, აკეთებდნენ ჭურჭლეულს სხვადასხვა ყალიბებში წვეწვის ჩასხმით. ამის შემდეგ ევროპელებმა დაიწყეს კაუჩუკისაგან გაკეთებული ჭურჭლის ხმარება, მაგრამ ფართო მოხმარება მას არა ჰქონდა.

1823 წელს ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა მაკინტოშმა შემოიღო ქსოვილების გაუღებლის ახალი წესი, რომელიც მალე დამკვიდრდა, და დაიწყო წყალგაუქონავი წამოსასხამების კეთება. ამ წამოსასხამებს (შლამხებს) დღემდე დღემდე სახელად მაკინტოში ეწოდებათ.

კაუჩუკის ფართო გამოყენება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროპელებმა დაიწყეს მისი მუშაობის წესი აღმოაჩინეს, დაშლილ-აზელილ კაუჩუკის ცომს ურევდნენ სხვადასხვა ნივთიერებას (მაგალითად, გოგირდს), რომელიც კაუჩუკს გაღებობის უნარიანობას უკარგავს. ეს წესი პირველად იხმარეს 1838 და 1843 წლებში ტომას ჰენოკმა ინგლისში და გულირმა ამერიკაში.

კაუჩუკის დამუშავების გაუმჯობესებაზე მუშაობა დღემდე დღემდე არ შეწყვეტილა: მსოფლიოს საუკეთესო ქიმიკოსები და ტექნოლოგები თავისი მუშაობის ერთერთ ძირითად მიზნად კაუჩუკის დამუშავებას ისახავდნენ და ისახავენ.

თანამედროვე მრეწველობაში იშვიათია ისეთი დარგი, რაშიც კაუჩუკი და მათი პროდუქტები არ იხმარებოდეს. მართლაც ავტომობილის წარმოება რომ ავიღოთ, რომელიც უკაუჩუკოდ არ შეიძლება არსებობდეს, უკვე ნათელი გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას მსოფლიოს ეკონომიკაში. ავიაცია, რომელიც ასეთი გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ, შეუძლებელია განვითარებულიყო და განვითარდეს კაუჩუკის მრეწველობის გარეშე. უკაუჩუკოდ წარმოუდგენელია ელექტრომრეწველობა, ფეხსაცმელის მრეწველობა, ფარმაცო-ქიმიური მრეწველობა...

ვულკანიზაციის აღმოჩენამდე კაუჩუკის მრეწველობა სწელა ვითარდებოდა: 1840 წელს მთელი მსოფლიოს ქარხნები 400 ტონა კაუჩუკს ამუშავებდნენ, 1935 წელს კი—1.006.689 ტონას. აქედან უკვე ცხადია, რა მტკიცედ მოუკიდია ფეხი კაუჩუკს თანამედროვე მრეწველობაში.

1880 წლამდე მთელი კაუჩუკი, რომელიც ბაზარზე გამოდიოდა, გარეული ხეების პროდუქტი იყო, უმთავრესად ბრაზილიის ტყეებში მოპოებული, მაგრამ თან-

დათანობით ამკარა გახდა, რომ გარეული კაუჩუკი ვერ დააკმაყოფილებდა მსოფლიო მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებას. დაიწყო ხელოვნური პლანტაციების გაშენება.

პირველი პლანტაცია გააშენეს 1861 წელს კუნძულ იავაზე, გაშენებულ იქნა არა ჰევა, არამედ ელასტიკური ლელვი (*Ficus elastica*), რომელიც კაუჩუკს საკმაოდ რაოდენობით შეიცავს. სანამ ინგლისის კაპიტალმა მწვავედ არ იგრძნო კაუჩუკის ნაკლებობა და ამერიკის კაუჩუკზე დამოკიდებულების ფაქტი, მანამდე საქმე წინ არ წასულა.

ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ინგლისის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა გუჯერმა. მან საპლანტაციო ხეებად შეარჩია ლელვი და ჰევე. პირველი დიდი პლანტაციები გაშენდა 1882 წელს და პირველი მოსავალი, 5 ტონა კაუჩუკის ნედლეულის, მიღებული იქნა 1889 წელს. მაგრამ საქმეს ეს არ შეელოდა. მსოფლიო მრეწველობა დიდი რაოდენობით მოითხოვდა კაუჩუკს, და ამიტომაც დაიწყო კაუჩუკის პლანტაციების გაშენება ტროპიკულ აზიაში.

1910 წელს პლანტაციებზე მიღებული კაუჩუკი მთელი მოსავლის 57,6 პროცენტს უდრიდა, 1922 წელს კი 93,3 პროცენტს. ამგვარად, კულტურულმა კაუჩუკმა განდევნა გარეული კაუჩუკი.

კაუჩუკის ძირითადი წარმოება გადავიდა უმთავრესად ინგლისელ პლანტატორთა ხელში, რომელთაც პლანტაციები ჰქონდათ მალაიაზე, ბორნეოზე, ინდონეზიაში. 1922 წელს მათ ხელში იყო მთელი მსოფლიოს კაუჩუკის მარაგის 80 პროცენტი, მაშინ როდესაც თვით ინგლისი ხმარობდა სულ ბევრ 3 პროცენტს. კაუჩუკის მთავარი მომხმარებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, იგი მთელი მსოფლიოს მარაგის 72,4 პროცენტს იყენებდა. აქედან ცხადია, თუ რა დიდი სიძნელებები იქმნებოდა ამერიკის მრეწველობაში: კაუჩუკი ინგლისს ჰქონდა, მომხმარებელი კი ამერიკა იყო, ინგლისი ნიშნავდა ფასებს თავის სურვილისამებრ და ამიტომ ამერიკიდან გამოჰქონდა დიდძალი ოქრო. საქმე ისე გამწვავდა, რომ 1925 წელს ამ ნიადაგზე ამერიკასა და ინგლისს შორის კინაღამ ომიც ატყდა.

ამერიკამ დაიწყო ზრუნვა, რომ თავისი კაუჩუკი ჰქონოდა. 1923 წელს ამერიკის კონგრესმა გადასწყვიტა, შეექმნათ კაუჩუკის საკუთარი მრეწველობა. საძიებო მუშაობისათვის გადაიღო სახევაარი მილიონი დოლარი.

იმ დროს კაუჩუკის მოსავლიანობასთან ერთად კაუჩუკის ფასი ეცემოდა. ამიტომ 1934 წელს ინგლისმა აიძულა კაუჩუკის პლანტაციების მქონე სხვა სახელმწიფოები—შეეზღუდათ ბაზარზე კაუჩუკის გამოშვება, აკრძალეს ახალი პლანტაციების გაშენება, რათა ეს პროდუქტი არ გაიფუტულიყო. ეს ღონისძიება კი პირველ რიგში ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან კაუჩუკის ძირითადი მომხმარებელი მაინც ამერიკა რჩებოდა.

ამ ღონისძიებამ თავისებური მოძრაობა გამოიწვია ამერიკაში. იქ დაიწყო ისეთ კაუჩუკოვან მცენარეთა ძებნა, რომელნიც თვით ამერიკაშიც, ტროპიკებს გარეშეც, მისცემდნენ მოსავალს. და მართლაც, მათ მრავალ კაუჩუკოვან მცენარეს მიაგნეს და დაიწყეს მისი გაშენება.


ერთი ასეთი მცენარე აღმოჩნდა ბალახეული მცენარე გვაითელა, რომელიც ზონურ ჰავაში იზრდება და, კაუჩუკსაც იძლევა. ამერიკელები კმაყოფილდებოდნენ ისეთი მცენარეებითაც კი, რომელნიც კაუჩუკის მხოლოდ 2-3 პროცენტს შეიცავდნენ. მათ წმინდა ამერიკული მასშტაბით დაიწყეს მუშაობა. მაგალითად: ამერიკელმა მრეწველებმა ფორდმა ბრაზილიაში აიღო კონცესია 4.000.000 აკრზე, ფაირსტონმა—ამერიკაში 1.000.000 აკრზე. 1932 წელს კაუჩუკის პლანტაციების საერთო ფართობი მსოფლიოში 8.000.000 აკრს უდრიდა. აქედან ნახევარზე მეტი ამერიკას ეკუთვნოდა. ამერიკამ დაიწყო მუშაობა აგრეთვე სინთეზური კაუჩუკის წარმოებაზე.

ამგვარად, ვხედავთ, რომ კაუჩუკის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის ერთერთი ძირითადი პრობლემა


ყოფილა, რადგან იგი მრეწველობის განვითარების ერთერთი ძირითადი ფაქტორია. აქედან ცხადია, რომ საბჭოთა კავშირში ეს საკითხი მწვეველ დასვა. ამ საკითხზე პირველად მიუთითა ჩვენს მეცნიერებს და პრაქტიკულ მომუშავეთ ამხანაგმა სტალინმა. 1931 წელს მან სთქვა: „ჩვენს ქვეყანაში გვაქვს ყველაფერი, გარდა კაუჩუკისა. მაგრამ ერთი ორი წლის შემდეგ ჩვენს განკარგულებაში იქნება კაუჩუკიცო“. მისი მითითებით მუშაობა დაიწყო ორი მიმართულებით—ერთი გზა იყო სინთეზური კაუჩუკის შექმნისა. ჩვენმა მეცნიერებმა გამოახსენეს ეს გზები. ჩვენში შეიქმნა სინთეზური კაუჩუკის დიდი მრეწველობა. მეორე გზა იყო ჩვენში გამოგვეყვანა კაუჩუკოვანი მცენარენი.

მრავალი ექსპედიცია მოედო საბჭოთა კავშირის მთა-ბარს და დაიწყო ძიება. დაუცხრომელმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მრავალი მცენარე იქნა ნაპოვნი, რომელიც კაუჩუკს შეიცავდა, მრავალი მათგანი კულტურულად შეიძლებოდა გაგვეშენებინა, და მართლაც სულ მცირე ხანში საბჭოთა კავშირის კულტურული ფლორა გამოიდრდა ახალი მცენარეებით: ესენია: ტაუსაგიზი, კოკ-საგიზი, ულერწავა (ხონდრალა), კრიმ-საგიზი, სკორცონერა და სხვა. საბჭოთა კავშირში მრავალი კოლმეურნეობა სთესავს ამ მცენარეებს და ჩვენს კაუჩუკის მრეწველობას აწეღის ძვირფას ნედლეულს.

საბჭოთა კავშირს აქვს თავისი საკუთარი კაუჩუკის მრეწველობა, იგი ამუშავებს ბუნებრივ კაუჩუკსაც და ხელოვნურ კაუჩუკსაც. ჩვენმა ქიმიკოსებმა და ბოტანიკოსებმა წარმატებით გადასჭრეს ეს დიდი ამოცანა.



ესპანეთის ხომალდები ამერიკის ნაპირებთან (XVI საუკუნის გრაფიურიდან)



ძველი სამყაროს

შვიდი საოცრება

III. ფაროსის უზუჩუა

„ფაროსის უზუჩუას“ სახელწოდებით ცნობილია ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის მახლობლად მდებარე კუნძულ ფაროსზე აგებული უზუჩუა.



ლექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მის უზარმაზარ სამფლობელოსაგან წარმოიშვა ელინისტური

სახელმწიფოები. ერთ-ერთი ეს ელინისტური სახელმწიფო ეგვიპტის სამეფო იყო. ეგვიპტეში დამკვიდრდა პტოლომეების დინასტია, — ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლის პტოლომე ლაგას შთამომავლობა.

პტოლომეების ეგვიპტეში უმნიშვნელოვანესი ადგილი ტრანზიტულ*) ვაჭრობას ეჭირა. ეგვიპტის ნავსადგურებში, რომლებიც ერთტრეას (მეწამულ) ზღვაზე მდებარეობდნენ, გადიოდა აღმოსავლეთის ინდურ-ჩინურ-არაბული დიდძალი საქონელი.

მეწამული ზღვისაგან მდინარე ნილოსით გადასაზიდი საქონელი თავს იყრიდა ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ქალაქ ალექსანდრიაში.

ალექსანდრია დიდი ქალაქი იყო, დიდძალი მოსახლეობით. აქ ცხოვრობდნენ ბერძნები და ეგვიპტელები, მაკედონელები და ებრაელები. ალექსანდრია იყო ელინისტური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი. როგორც საზღვაო ქალაქ



კამეა პტოლომე ფილადელფოსისა და მისი მეუღლის არსინოას გამოსახულებით.

დაცულია ლენინგრადის სახელმწიფო მუზეუმში.

ში, აქ მოდიოდნენ ვაჭრები იმდროინდელი ქვეყნების ყოველი მხრიდან, აქ ხდებოდა სავაჭრო გარიგება, აქ ისმოდა ლაპარაკი ყოველნაირ ენაზე.

აი ჰმ შესანიშნავი ქალაქის მახლობლად, მის ზღვისკართან მდებარე პატარა კუნძულ ფაროსზე აღმართული იყო თეთრი მარმარილოს უზარმაზარი, თვალწარმტაცი შექურა. სტრაბონის, პლინიუსის, ლუკიანეს, იულიოს კეისარის და სხვების ცნობით, ეს შექურა ააგო ეგვიპტის მეფე პტოლომე მეორე ფილადელფოსმა (ძველი წელთაღრიცხვის 285-246 წ.). ამ

გრანდიოზული ნაგებობის არქიტექტორის სახელი სოსტრატე ყოფილა. ამბობენ, სოსტრატემ თავისი სახელის უკვდავსაყოფად შემდეგ ხერხს მიმართა. მან შექურას ზედაპირზე ღრმად ამოჭრა ასეთი წარწერა: „სოსტრატე კნიდელო, შვილი დექსიფანესის, იმ ღმერთებს, რომლებიც შველიან ზღვაზე მყოფთ“. ცხადია, ამ არქიტექტორს რომ თავისი სახელის უკვდავყოფა უნდოდა, ეს დასაძრახი როდია. მაგრამ საქმე ისაა, რომ მან თურმე გაიფიქრა—ეს წარწერა მეფე პტოლომეს უკმაყოფილებას გამოიწვევსო. ამიტომ აიღო და, თავისი სახელის წარწერა შემოგლეხა, შემდეგ ზედ პტოლომეს სახელი წაა-

*) ტრანზიტო—მოგზაურობა ან საქონლის გადატანა ერთი სახელმწიფოდან მეორეში მესამის ტერიტორიაზე გავლით, ამ შემთხვევაში ეგვიპტის ტერიტორიაზე.

წერა. მან კარგად იცოდა, რომ ეს შემო-
გლესილი ნაწილი დიდხანს ვერ გაძლებ-
და, ჩამოინგრეოდა და თან პტოლომეს
სახელს წაიტანდა. რამდენიმე წლის შემ-
დეგ მართლაც ასე მოხდა, და კვლავ გა-
მოჩნდა სოსტრატეს სახელი.

კუნძული ფაროსი, რომელზეც აღიმარ-
თებოდა ეს შესანიშნავი შუქურა, ქალაქ
ალექსანდრიიდან დაშორებული იყო შვი-
დი სტადიით ანუ 1.240 მეტრით.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხე-
დვით, შუქურა შესდგებოდა რამდენიმე
ხრახნისმაგვარი სართულისაგან. ამ მხრივ
იგი ძალიან წააგავდა ბაბილონის კოშკს.
პლინიუსის ცნობით, ამ შუქურის აგებაზე
დაიხარჯა 800 ვერცხლის ტალანტი, ანუ
დაახლოებით ერთი მილიონ 600 ათასი
მანეთი ოქროთი.

როდემდის იარსება ამ გრანდიოზულმა
ძეგლმა?

ღარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ
იგი XII საუკუნეში კიდევ არსებობდა.
გამოჩენილ არაბ მოგზაურს ედრისს*) თა-
ვისი თვალთ უნახავს ეს გასაოცარი ნა-
გებობა. აი რას ამბობდა ედრისი მის შე-
სახებ.


„ამ შუქურის ბადალი არაფერი მოიბო-
გება დედამიწაზე არც არქიტექტურის,
არც გამძლეობის, სიმკვიდრის მხრივ. იგი
აგებულია განსაკუთრებული სიმაგრის „კე-
ლანის“ ქვებისაგან, რომლებიც ერთიმეო-
რესთან შეკავშირებული არიან დაღობი-
ლი ტყვიით. ეს შეკავშირება იმდენად
მკვიდრია, რომ მთლიანად ამ ნაგებობას
ვერაფერი დაარღვევს, მიუხედავად იმისა,
რომ ზღვის ტალღები ჩრდილოეთის მხრი-
დან განუწყვეტლივ ეხეთქება მას.

მიწიდან შუა გალერეამდე ანუ სართულამ-
დე არის დაახლოებით 70 ბრასი**), ამ სარ-
თულიდან ზედა კოშკურამდე კი — 26***).
შუქურის კოშკურაზე ასასვლელი შიგნით
მოწყობილი კიბით მიდის. კიბის განი
ისეთია, როგორც ჩვეულებრივ კოშკებშია
ხოლმე. ეს კიბე თავდება დაახლოებით
შენობის შუა ადგილზე, აქედან მოყოლე-
ბული კი თანდათან ვიწროვდება ოთხივე
მხრიდან, და იმდენად, რომ სულ ზედა
კოშკურას შეიძლება ერთმა ადამიანმა შე-

*) აბდლა მაჰამედ ედრისი ანუ იდრისი XII საუკუ-
ნის გეოგრაფი იყო.

**) დაახლოებით 128 მეტრს შეადგენს.

***) დაახლოებით 47 მეტრი, და ამრიგად, მაშა-
საღამე, მთელი შუქურას სიმაღლე 175 მეტრს აღწევდა.



ფაროსის შუქურა
(რეკონსტრუქცია)

მოხვიოს ხელები. კიბეს მისდევს ფანჯრე-
ბი, რათა ამსვლელ-ჩამოსვლელს დღის
სინათლე ჰქონდეს“.

„ეს ნაგებობა,—განაგრძობს ედრისი,—
ღირსშესანიშნავია როგორც თავისი სიმაღ-
ლით, ისე თავისი სიმკვიდრით. იგი სასარ-
გებლოა იმით, რომ შიგ დღისით და ღა-
მით სინათლე ანთია, რომელიც სიგნალია
მეზღვაურთათვის. მათ იციან ეს სინათლე
და მიმართულებას მისი მიხედვით გაიგნე-
ბენ. მისი სინათლე მოჩანს „ერთი სა-
ზღვაო დღის“ მანძილზე (ესე იგი 100
მილზე). ღამით ვარსკვლავივით კიაფობს,
დღისით ზედ კვამლი მოჩანს“.

ედრისი ამბობს, რომ შორიდან ამ შუ-
ქურის სინათლე ისე წააგავდა ჰორიზონტ-
ზე ამომავალ ვარსკვლავს, რომ მეზღვაუ-
რები ზოგჯერ შეცდომაში შედიოდნენ და
შიაბრუნებდნენ ხოლმე თავის ხომალდს
სხვა მიმართულებით, რის გამოც ხშირად
ზიფათში ვარდებოდნენ. ეს გარემოება
შემდეგში გათვალისწინებული იყო და
ახლა ყველა შუქურას ორგვარი სინათლე
აქვს: ერთი სულ ზევით—კოშკურაზე,
მეორე უფრო ქვევით, რათა მეზღვაურე-
მა ზედა, უფრო კაშკაშა სინათლე ვარ-
სკვლავად არ მიიჩნიონ.

ფაროსის ანუ ალექსანდრიის შუქურა,
უნდა ვიფიქროთ, პირველი შუქურა იყო
მსოფლიოში იმ გაგებითაც, რომ მანამდე
შუქურა არ იყო ცნობილი ზღვაოსნობაში.




IV. როდოსის კოლოსი

„როდოსის კოლოსის“ სახელოვანებით ცნობილია ძველ ბერძენთა უძველესი ღმერთ ჰელიოსის ბრანდიოზული ბრინჯაოს ქანდაკება, ჩამოსხმული ქალაქ როდოსისათვის.

„როდოსის კოლოსი“ ანუ „როდოსის უზარმაზარი ალაღმა“ ბრინჯაოსაგან ჩამოსახა ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ბერძენმა მოქანდაკემ ხარეს ლინდოსელმა, რომელიც გენიალური ლიზიპოსის სახელოვანი მოწაფე იყო. ამ მოქანდაკეს, ფილონ ბიზანტიელის თქმით, მიეკუთვნება დიდება იმის გამო, „რომ მან შექმნა ღმერთი მსგავსი ღმერთისა და მისცა ქვეყნიერებას მეორე მზე“.

„როდოსის კოლოსი“ დადგმული იყო კუნძულ როდოსზე ქალაქ როდოსში. კოლოსის სიმაღლე 34 მეტრს აღწევდა. მის ჩამოსხმას 12 წელიწადი დასჭირდა და დამთავრდა ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 285 წელს. 300 ტალანტი ანუ 600 ათასი მანეთი ოქროთი დაჯდა ამ ვეებერთელა ქანდაკების ჩამოსხმა.

თითქმის 60 წელიწადი იდგა ეს ქანდაკება და ძველი წელთაღრიცხვის 227 წელს ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. „მაგრამ, — რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის გადმოცემით, — ეს ქანდაკება მაშინაც კი, როდესაც მიწაზე იყო დანარცხებული, გაცოცხლდა იწვევდა“. „მის დიდ თითს, — განაგრძობს პლინიუსი, — იშვიათად თუ ვინმე მოუხერხებდა ხელები შემოხვიოს: მისი თითები თავისი ზომით ბევრი ცალკეული ქანდაკების ზომას სჭარბობს, მომტვრეული ნაწილები პირდაღებულ გვირაბებსავეთ გამოიყურებიან და შიგნით ვეებერთელა ქვეები მოჩანს, რომლებითაც ხარეს მდგრადობის მიცემა სურდა ქანდაკებისათვის მისი დადგმისას“...



როდოსის კოლოსი


• „როდოსის კოლოსის“ ნანგრევები შემდეგში 900 აქლემით სირიას გადაუზიდავთ და იქ გადაუდნიათ.

ეს ქანდაკება ცხადად ადასტურებს ელინისტური ხელოვნების მიღრეკილებას, მსგავსად ეგვიპტელების ხელოვნებისა, გრანდიოზულობისაკენ. „როდოსის კოლოსი“ ამ მიღრეკილების უკანასკნელი გამოვლინება იყო ძველ სამყაროში.






ვასილ პეტრიაშვილი



მოსე ჯვანშვილი



ივანე თარხნიშვილი

ვასილ პეტრიაშვილი

დიდი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსი ვასილ მოსეს-ძე პეტრიაშვილი დაიბადა სოფელ წალასკურში (თბილისის მაზლობლად). თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ 1865 წელს ის შედის იმ დროისათვის ახლად გახსნილ ნოვოროსისკის უნივერსიტეტში; პირველად ის იურიდიულ ფაკულტეტზე შესულა, შემდეგ კი, ფიზიკა—მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე გადარიცხულა. იქ მაშინ ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: მეჩნიკოვი, ვერიგო, სოკოლოვი, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ნიჭიერ სტუდენტზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ქიმიური ლაბორატორიები ცუდად იყო მოწყობილი: არ იყო არც წყალი და არც გაზი—ქიმიკოსებს სპირტნათურებზე უხდებოდათ მუშაობა, ვასილ პეტრიაშვილი მაინც იმდენად დაეუფლა ექსპერიმენტალურ—კვლევით მუშაობას, რომ მიწვეული იქნა პროფესორ ვერიგის ლაბორატორიაში.

ვასილ პეტრიაშვილმა 1870 წელს გამოაქვეყნა პირველი ექსპერიმენტალური შრომა „აზოქსიტოლუოლის შესახებ“, ამის შემდეგ ის მალე აირჩიეს ტექნიკური ქიმიის კათედრის ლაბორანტად, 1873 წელს კი მიაღწინეს ქალაქ ბონში, სადაც რამდენიმე ხანს მუშაობდა გამოჩენილ მეცნიერ კვკულესთან.

1872 წელს დაიცვა ვასილ პეტრიაშვილმა დისერტაცია თემაზე: მასალები აზობენზიდის ჯგუფის შესწავლისთვის, რის შედეგადაც მას ჰაგისტრის ხარისხი მიანიჭეს.

1875 წელს ის უნივერსიტეტში ტექნიკური ქიმიის დოცენტად აირჩიეს. იქვე კითხულობდა ის ამ კურსს. ამის გარდა, მუშაობდა ორგანულ ქიმიასშიც. მისი ხელმძღვანელობით იწვრთნებოდნენ თბილისის ახალგაზრდა კადრები, მათ შორის, შემდეგში ცნობილი დიდი ქართველი მეცნიერი—პეტრე მელიქიშვილი.

ვასილ პეტრიაშვილს 1877 წელს. დოქტორის ხარისხი მიენიჭა, რის შემდეგ ის არჩეული იქნა ექსტრაორდინარულ პროფესორად, ხოლო სამი წლის შემდეგ ტექნიკური ქიმიის კათედრის ორდინარულ პროფესორად.

1905 წელს ვასილ პეტრიაშვილს ირჩვევენ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად.



მოსე ჯანაშვილი



ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი. დამსახურებული პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი. გარდაიცვალა 1855 წლის 19 მარტს საინგილოს სოფელ კაკში, (კახში) ღარიბი გლეხის ოჯახში.

21 წლის ჭაბუკი წარმატებით ამთავრებს თბილისის სასულიერო სემინარიას და იწყებს საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ჯერ მასწავლებლობს ქუთაისსა და თბილისში, შემდეგ კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გარდა ამისა, მ. ჯანაშვილმა 30 წელიწადი დაჰყო სიძველეთა დაცვის მუშეუმიის გამგის თანამდებობაზე.

1921—1930 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ ასისტენტი, შემდეგ კი პროფესორია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის მარტში, საბჭოთა მთავრობამ მცხოვან მეცნიერს შრომის საპატიო გმირის სახელი მიანიჭა. 1930 წელს კი მოსე ჯანაშვილს გადაუხადეს სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

მეტად მრავალფეროვანია პროფესორ ჯანაშვილის მოღვაწეობა, განსაკუთრებით კი საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის კალამს ეკუთვნის 1.400-დე შრომა ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიისა და სხვა დარგებიდან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებული პროფესორი—მოსე ჯანაშვილი გარდაიცვალა 1934 წლის 19 აპრილს. ის დაკრძალულ იქნა ქართველ მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში თავის თანამოღვაწეთა ნიკო ნიკოლაძისა და ი. ყიფშიძის გვერდით.



ივანე თარხნიშვილი

მიმდინარე წელს 100 წელი სრულდება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, რუსეთსა და ევროპაში სახელგანთქმული ფიზიოლოგის ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილის დაბადებიდან. შინაური განათლების შემდეგ ახალგაზრდა ივანე პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტზე შევიდა ერთი წლის შემდეგ, ის პროფესორ სეჩენოვის ლექციებზე გაიტაცა და სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გადავიდა.

რუსეთის ფიზიოლოგიის მამამთავარი პროფესორი სეჩენოვი დიდად აფასებდა ნიჭიერ სტუდენტს. და მალე ივანე თვით სეჩენოვის ასისტენტი გახდა; შემდეგ კი დიდი მეცნიერის მეცნიერული საქმის დირექტორი განმგრძობი. ივანე თარხნიშვილი იყო არა მარტო მეცნიერი—მკვლევარი, არამედ ფიზიოლოგის პოპულარიზატორი და საზოგადო მოღვაწე. აკადემიის დამთავრების შემდეგ თარხნიშვილი დატოვებულ იქნა პროფესორად და 24 წლის ჭაბუკი 1870 წელს ბრწყინვალედ იცავს სამაგისტრო დისერტაციას.

ორი წლის შემდეგ მიემგზავრება საზღვარგარედ და ეცნობა ცნობილი ფიზიოლოგების ჰოპე—ზეილერის, კლოდ—ბერნარის, ჰოლცის, ვულბინისა და სხვათა შრომებს.

1875 წელს ი. თარხნიშვილი უკვე სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პრივატდოცენტი, ორი წლის შემდეგ კი ორდინარული პროფესორი. ოცი წელიწადი მუშაობდა ი. თარხნიშვილი აქ და მისი შესანიშნავი მეცნიერული შრომების აღსანიშნავად რუსეთის აკადემიკოსთა ყრილობამ მას აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. აკადემიის რეაქტიულ ხელმძღვანელობის მიერ მუდმივი დევნა-შევიწროების გამო ივანე თარხნიშვილმა მიატოვა აკადემია.

შემდეგ ი. თარხნიშვილი კითხულობს ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ბიოლოგიასა და ზოგად ფიზიოლოგიაში და განაგრძობს მეცნიერულ კვლევას, სწერს მთელ რიგ შრომებს.

1870 წელს თარხნიშვილი თბილისში ჩამოვიდა და რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა.

საბჭოთა საქართველოში მეცნიერები დიდი სიყვარულით იფიქრებენ გამოჩენილ ფიზიოლოგს და სპეტაკ მეცნიერს ივანე თარხნიშვილს.





როგორ მოვირიცხო ფაბრიკა ინდი ჩხრიალა გველვას

ამ რამდენიმე ხნის წინათ, ფლორიდის (ამერიკის შეერთებული შტატები) პროვინციული ქალაქის არკანდიას მახლობლად დასახლდა ფერმერი ვინმე ჯორჯ ინდი.

მან მთელი თავისი რქიანი საქონელი, რაც მის სიმდიდრეს შეადგენდა, იქ გადაარეკა და მეურნეობის მოწყობას შეუდგა. მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ ფერმერი ფაბრიკანტად აქცია.

ეს ასე მოხდა: ჩხრიალა გველებმა, რომელთა დიდ საბუღარზე დასახლდა თურმე ინდი, სრულიად გაანადგურეს—დახოცეს მისი საქონელი.

ფერმერი საგონებელში ჩავარდა: ასე უცბად დაღუპული სიმდიდრე რით აღედგინა?! გარდა ამისა, სასტიკმა შიმშილმა შეაწუხა ისედაც გაპარტახებული ფერმერი და მან, დამღუპველ ქვეწარმავალთა წინააღმდეგ შურისძიების გრძნობით აღჭურვილმა, უცებ გაიხსენა, რომ სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ზოგიერთი ტომი საუკეთესო საქმელად სთვლის ჩხრიალა გველის შემწვარ ხორცს.

ინდმა ვასცა განკარგულება დაეხოცათ და ნაცარში შეეწვათ ჩხრიალა გველები.

დამშუულ ფერმერს ძლიერ მოეწონა შემწვარი გველის ხორცი, რომლის გემო ორაგულის ხორცის გემოს წააგავდა. ინდი მალე გასუქდა და ამ ახალი გემრიელი საქმელის ყოველდღე მირთმევი გააძლო და გამოკვება გველის ხორცით თავისი ოჯახი და მის მეურნეობაში მომუშავენიც, ბოლოს კი გადასწყვიტა დაეწყებინათ თავის მიეცა გველებისაგან დახოცული საქონელი, ხელი აეღო ფერმერობაზე და ახალ მომგებიან საქმეს შესდგომოდა.

მან ააგო საკონსერვო ფაბრიკა და ჩხრიალა გველის ხორცისაგან დამზადებული კონსერვების გამოშვება დაიწყო.



ინდის ფაბრიკაში დამზადებული გველის ხორცის კონსერვის ქილები, რომელსაც გველის ხორცი ეტიკეტები ამშვენებენ, პირველად ცოტად შეეწივნა ხალხმა, მაგრამ მალე გაუჩნდა მას მომხმარებელი. წინადახედილი ფერმერი გველის არა მარტო ხორცს იყენებს, არამედ ტყავსაც. ის ლაბორატორიებისათვის ამზადებს გველის შხამსა და ქონს. გარდა ამისა, ინდი ამარაგებს მთელი მსოფლიოს ზოობარკებს ცოცხალი ჩხრიალა გველებით.




ვინ გაიძარკვებს?

V სერია

1. როდის დაწესდა ბეჭდვითი სიტყვის დღე?
2. როდის და სად დაიწყო ლენინურ-სტალინური „პრავედის“ გამოცემა?
3. როდის და სად გამოვიდა საერთო რუსეთის პოლიტიკურ გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი?
4. რა ეპიგრაფი (გამოთქმა) ეწერა ძველ „ისკრას“ სათურქვეში?
5. როდის, სად და რა სახელწოდებით გამოიცა პირველი ქართული გაზეთი?
6. როდის, სად და რა სახელწოდებით დაიწყო პირველი ქართული ყურნალის გამოცემა?
7. ვისი ხელმძღვანელობით, როდის, სად და რა სახელწოდებით გამოდიოდა პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი ამიერკავკასიაში?
8. როდის, სად და ვისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური ბოლშევიკური ქართული გაზეთი „ბრძოლა“?
9. როდის, სად და რა სახელწოდებით გამოდიოდა პირველი ქართული არალეგალური ყოველთვიური ყურნალი?
10. როდის და სად დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი?
11. რა ეწოდებოდა პირველ ქართულ საზღვარგარეთულ გაზეთს?
12. როდის, სად და რა წესით იბეჭდებოდა პირველი ქართული საზღვარგარეთული გაზეთი, ვინ სცემდა ამ გაზეთს?
13. რომელი წლიდან და ვისი რედაქტორობით დაიწყო საბავშვო ყურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა?
14. როდის გამოვიდა ყურნალ „პიონერის“ პირველი ნომერი?
15. რას აღნიშნავდა სახელწოდება „წიგნი“ უძველეს ქართულ ძეგლებში?
16. როდის მოეწყო პირველი ქართული სტამბა, რომელ ქალაქში?
17. რომელი ქართველი მეფის დროს მოეწყო პირველი ქართული სტამბა?
18. როდის და სად დაიწყო ავლაბრის არალეგალური სტამბის შენება?
19. როდის გამოვიდა გაზეთ „კოშენისტის“ პირველი ნომერი?
20. რუსეთში როდის და სად გამოვიდა პირველი გაზეთი?

მაისი



ბიოგრაფიის კალენდარი


მაისი




გასული წლის 10 მაისს გარდაიცვალა ალექსანდრე სერგის-ძე შჩერბაკოვი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი.



შოლომ ალიეხემის ფსევდონიმით იყო ცნობილი დიდი ებრაელი მწერალი შოლომ რაბინოვიჩი. მიმდინარე წლის 13 მაისს შესრულდა 30 წელი მისი გარდაცვალებიდან.



440 წლის წინათ, 1506 წლის 20 მაისს, გარდაიცვალა ამერიკის აღმომჩენი მსოფლიო მოგზაური ჯრისტეფორე კოლუმბი.



1818 წლის 5 მაისს ქალაქ ტირიში დაიბადა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი მეცნიერული კომუნისტების გენია კარლ მარქსი.

მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის - 1 მაისის - დაწესების 56 წელი.

90 წლის წინათ, 1856 წლის 6 მაისს, დაიბადა ამერიკელი პოლარული მოგზაური, ჩრდილოეთ პოლუსის აღმომჩენი - პირი. ის გარდაიცვალა 1920 წელს.

გასული წლის 7 მაისს ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა დიდი რუსი მეცნიერის პაპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავი. მას შემდეგ მთავრობის დადგენილებით, დაწესდა ყოველწლიური „რადიოს დღე“.

110 წლის წინათ, 1836 წლის 13 მაისს დაიბადა გამოჩენილი რუსი მათემატიკოსი პეტროვი.

30 წლის წინათ, 1916 წლის 17 მაისს გარდაიცვალა ცნობილი რუსი მათემატიკოსი გოლიცინი.

1800 წლის 18 მაისს გარდაიცვალა უდიდესი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი. ის დაიბადა 1730 წელს.



გასული წლის 25 მაისს გარდაიცვალა პოეტი იგავთმწერალი დემიან ზედნი (პრიდვოროვი).

125 წლისთავი გამოჩენილი რუსი მათემატიკოსის ჩებიშევის დაბადებიდან.



ამა წლის 15 მაისს შესრულდა 50 წელი გამოჩენილი რუსი ფიზიკოსის სტოლეტოვის გარდაცვალებიდან.



55 წლის წინათ გაიხსნა დიდი სარკინიგზო ხაზი მთელ ციმბირზე გავლით ვლადივოსტოკამდე.



პ ი ო ნ ე რ ი

საბ. ალკა. ცენტრალური კომიტეტის
ჟოგელთაშვიური საბავშვო ჟურნალი

№ 5

მაისი 1946 წ.

წელიწადი მეოცე
გამომცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

№ 5

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО

КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Год издания 20-й

Издательство „Комунисти“

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალების მინისტრისა 1 გვ.	ბაბილინა ხოსიტაშვილი — მოგონება ძმაზე 15 "
ე. ჩაკალიდი — მაისის თვეს (მინიატიურა) გარეკანის მე-2 გვ.	ესენი იცავდნენ საყვარელ სამშობლოს 16—17 "
იოსებ გრიშაშვილი — გამარჯვების სახსოვრად (ლექსი) 2 "	(იქვე ლექსები: „ზოია კოსმოდემიანსკაია“ და „ოლეგ კოშევი“ არღუთელისა)
ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მისაღმება პიონერთა სასახლის 5 წლისთავზე 3 "	ჩვენი პიონერული ცხოვრება 18 "
ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა წრეების მუშაობა ფოტოილუსტრაციებში 4 "	ნორჩ ავტოტოა შემოქმედება 19 "
ვანტანგ ძნელაძე — სურათი (ლექსი) 5 "	ნიკო ლორთქიფანიძე — ცის მდინარე (ყურეული თქმულება) 20 "
ჭ. სურგულაძე — 9 მაისი (ლექსი) 5 "	გივი ვარდოსანიძე — დედისადმი (მინიატიურა) 21 "
ნიკოლოზ ჯაში — ბერლინის დამხობა (ნარკვევი) 6 "	აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი — ხის ცრემლი და მსოფლიო (I თავი წიგნიდან „მთა და ბარში“) 22 "
ლენინური სიტყვის ძალა (ნარკვევი) 9 "	შ. გვინჩიძე — ძველი სამყაროს შეიდი საოცრება (ნარკვევი. გაგრძელება) 25 "
ლავრენტი ჭიჭინაძე—პატარა გმირი (ნამღვილი ამბავი) 11 "	ქართველი მეცნიერები 28 "
დიდი სამამულო ომის წლებში 13 "	მსოფლიოს ყოველი მხრიდან 30 "
დავით შამათავა — ვასილ ბარნოვი (წერილი) 14 "	ვინ გაიმარჯვებს? (V სერია) 30 "
	პიონერის კალენდარი 31 "
	გასართობი (რა არის რებუსი?) გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე მხატვარ ა. გვილაშვილისა და ს. ნადარეიშვილის ნახატები „გამარჯვების დღე“.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პ/მგ. რედაქტორი), ვ. ვარდიაშვილი, პრაოდ. გ.თავაზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უფ—02642 ტირაჟი 7000 გამომც. № 51 სტაბის შეკვეთა № 886
ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.

რა არის რეზუსი?

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(შედგენილია ალ. საჩინოელის მიერ)

რეზუსი (rebus) ფრანგული სიტყვაა, ნაწარმოები ლათინური სიტყვიდან res (ნიშნავს „საგანს“). რეზუსი არის სურათებისაგან შემდგარი გამოცანა, რომლის პასუხი ამოკითხვა სხვადასხვა სურათებისა და ნიშნების დასახელებითა და შეერთება-შეკვეციით. სურათებით სწერდნენ უძველეს დროში ეგვიპტელები. მათი ეროვლიანები ჩვენებურ რეზუსს მოგვაგონებს: ზოგიერთი ნიშანი მთელ სიტყვას აღნიშნავდა, ზოგი — სიტყვის ცალკეულ მარცვალს, ზოგი კიდევ — ცალკეულ ასოს. ახლა რეზუსი, ცხადია, მხოლოდ გასართობად და გონების გასაფარჯიშებლად გამოიყენება.

რეზუსის შედგენა და ამოხსნა არ არის ძნელი, ოღონდ უნდა ვიცნობდეთ იმ პირობითი ნიშნებს, რომლებიც რეზუსშია მიღებული.

ეს პირობითი ნიშნები შემდეგია:

1. თუ სურათის წინ დასმულია მძიმე (აპოსტროფი), მაშინ ამ სურათის სახელს გამოაკლდება პირველი ასო. თუ აპოსტროფი ორია — გამოაკლდება ორი ასო და ა. შ. თუ აპოსტროფები სურათის მარჯვნივთა დასმული, გამოაკლდება უკანასკნელი ასოები აპოსტროფების რაოდენობის მიხედვით.

2. თუ სურათი გადაბრუნებულია, თავდაყირაა დახატული, სურათის სახელი წაიკითხება უკუღმა, მარჯვნიდან მარცხნივ. მაგალითად, ციფრი „100“ თავდაყირაა დაწერილი; წაიკითხება „ისა“. ან, ვთქვათ, „ატამი“ დახატულია ყურწით ქვევით; წაიკითხება „იმატა“.

3. თუ სურათის ზევით ან ქვეშ ფრჩხილებში ჩაწერილია ციფრები „3, 2, 1, 4“ ან სხვა თანმიმდევრობით, მაშინ სურათის სახელი წაიკითხება იმ თანმიმდევრობით, რომლებსაც ციფრები გვიჩვენებს. მაგალითად,

1. ერთი ქუდია, სულყველას ზურავს — ხმელეთზე მსვალს თუ წყალში მცურავს.
2. ქალამანია ყველასათვის ერთი, მარად ახალი, მარად უცვლელი.
3. არცა აქვს თვალი, არცა აქვს ხელი — არის მხატვარი იშააკვირველი.
4. კვალივით მრგვალია, ნათელი და მალისა.

დახატულია „ვარდი“ და მის თავზე ფრჩხილებში სწერია „4, 2, 3, 1, 5“, წაიკითხება „ღარვი“.

4. თუ ერთ ასოში ჩაწერილია მეორე, მაგალითად, „ც“ ჩაწერილია „ა“-ში, წაიკითხება „ცაში“.


5. თუ რომელიმე ასო ჩაწერილია რომელიმე საგნის გამომსახველ სურათში, მაგალითად „ო“ ჩაწერილია აღამიანის თავის გამომსახველ სურათში; წაიკითხება „თავში-ო“.

რასაკვირველია, ამით არ ამოწურება პირობითი ნიშნების სხვადასხვაობა რეზუსში. ასეთი ნიშნები შეიძლება გამოვიგონოთ უამრავი.

რეზუსის შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ: რეზუსი მაშინ არის კარგი, როდესაც მასში ცოტაა აპოსტროფი, ბევრია სურათი და ცოტაა ასო.

აქ ჩვენ ვათავსებთ ორ რეზუსს. გამოიყენეთ ზემოთ-მოყვანილი პირობები და ამოხსენით ეს რეზუსები.

რ ე ზ უ ს ი № 1



რ ე ზ უ ს ი № 2



012436950
012436950

